

საქართველოს სამშრომლო

№ 20.

15 აპრილი, 1922 წელი.

№ 20.

ქართველ ხალხს!

მთელი წელი შესრულდა, რაც საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა დაიპყრო. დემოკრატიული რეჟიმის ნაცვლად რუსეთის საოკუპაციო ჯარის მიერ დანიშნულ საქართველოს რევკომის და ჩეკას დიქტატურა დაწესდა. ჩვენ სამშობლოს უსაშინელები რეაქციის შავი ზეწარი გადაეფარა.

ოკუპანტებმა გაძვალტყავებული რუსეთიდან საქართველოში ჯარი და შიმშილობა გადმოიტანეს, ქვეყანა სავსებით გაძარცვეს, ქალაქი და სოფელი ააოხრეს და მთელი ხალხი გააღატაკეს. ერის ხელმძღვანელთ ციხეებსა და ჩეკას სარდაფებში აწამებენ, სადაც მრავალი მათგანი სიცოცხლეს გამოასალმეს.

საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო მართველობამ მიზნათ დაისახა თავისუფალი საქართველოს სამუდამოთ გასრესა და ქართველი ერის ფიზიკური გაჟლეტა. და აი სამშობლოს სხვა და სხვა კუთხეში იღვრება განთავისუფლებისათვის მებრძოლთა სისხლი. ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა უცხო სახელმწიფოებზე გაყიდვით ოკუპანტები თავის სამარცხვინო სიცოცხლის გაზანგძლივებას ლამობენ. რუსეთის მოყიდული აგენტები, საქართველოს უღირსი შვილები და მისი მოღალატეები დამოუკიდებელ რესპუბლიკის დასამარებას ელტვიან. და აი მათ საქარ-

თველოში გააბატონეს ცოველი გადამთიელი, ნადირალი და ყაჩალი, ხოლო ამავე დროს ქართველობა სასტიკათ დევნილია, მისი ეროვნული ღირსება შეგინებულია და საქართველოს კულტურა ფეხ-ქვეშ გათელილია. ეროვნული დროშა შელახეს და ჩვენი სამშობლო რუსეთის ჯალათებს დაუმორჩილეს.

მაგრამ ქართველი ხალხი, საუკუნეთა განზავლობაში მტარვალებთან ბრძოლაში გამობრძვილი, ჩვეულებისამებრ არ შედრკა. ოკუპანტთა მიერ დევნილი დროშა მან სვანეთისა და ხევსურეთის მიდამოებში და მრავალ სხვა ადგილას ამართა და მტრებს ძილს უფრთხობს, ხოლო უცხოეთში საქართველოს დროშა ცოველგან ფრიალებს, თეთრი გიორგი ყველას მიერ პატივცემულია, თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს იდეა ყველა ერსა და ქვეყანას მოეფინა და არა ჩვეულებრივი თანაგრძნობა გამოიწვია.

ეს საქართველოს კანონიერი მთავრობისა, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა საქმეა. დღიდან საქართველოს ოკუპაციისა ისინი უცხოეთში საქართველოს წამდვილ ვითარებას არკვევენ და ოკუპანტებს ნილაბი უკვე ახადეს. ეს იყო ერთად ერთიმიზან შეწონილი გზა საქართველოს უეჭველი განთავისუფლების მოსახლოებლათ.

კონსტანტინე

ქვეყნის

მართლაც საქართველო დაცვა ვინაიდან მის წინააღმდეგ ორი იმპერიალისტური სახელმწიფო ამხედრდა. საჭირო იცოდა ევროპის სახელმწიფოთა და დემოკრატიის თავისუფალ საქართველოს სასარგებლოდ ამოძრავება, მათი სიმპატიის მოპოება და რეალურ დახმარებისათვის წინადაცის მოქმედება. ამ გზის უარყოფა და საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მთავრობის და დამფუძნებელი კრების პრეზიდენტის საქართველოშივე დარჩენა—ეს იქნებოდა ნიშანი ოკუპაციასთან შერიგებისა და თავისუფალ საქართველოს სამუდამოთ დასამარტვას გამოიწვევდა. დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ერის ხელმძღვანელთა მიერ დასახული მიზანი მიღწეულია. მთელმა დემოკრატებმა, ყველა სოციალისტურმა პარტიამ გადაჭრით დაგმო საბჭოთა რუსეთის შემოსევა საქართველოში და წითელ ქურქში გახვეულ იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღა.

ევროპის სახელმწიფოები საქართველოს კვლავინდებურათ დამოუკიდებელ რესპუბლიკათ აღიარებენ და მის აღდგენას ხელს უწყობენ.

ჩვენ მივმართავთ საქართველოს დამოუკიდებლობის ყველა მომხრე პოლიტიკურ პარტიას, ჩვენ მოვუწოდებთ მტარვალთან ბრძოლაში გაერთიანებულ ქართველ ხალხს მთელი თავისი ძალ-ღონით დაეხმაროს და ხელი შეუწყოს მუშაობას, რომელიც მიმართულია დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენისაკენ.

ერის განთავისუფლება პირველ ყოვლისა თვით ერის საქმეა. მხოლოდ ის ერი, რომელიც თავისუფლების დროშას თავს დასტრიალებს და მის შემგინებელთა წინააღმდეგ მუდმივსა და ერთსულოვან, ხან ფართულს და ხან აშკარა ბრძოლას განაგრძობს, ღირსია დამოუკიდებლობისა და მტერთ სამუდამოთ დაიმორჩილებს.

ეს კარგათ იცის ქართველმა ხალხმა. ხანგრძლივ ბრძოლაში გამოწრთობილი, ქვეყნის აკარგის შესაფერად ამწონ-დამწონი, ის ერის ორგული და სამშობლოს დამქცევთ ენერგიულათ მტრობს.


ოკუპანტებმა საქართველოს ეროვნული დროშა ჩამოხსნეს, ხოლო მთელმა ქართველმა ხალხმა მას ბინათ მიუჩინა თავისი გული და მუდამ ქამს დედობრივი სიყვარულით ეალერსება. ის სარგებლობს ხელსაყრელი შემთხვევით, რომ საქვეყნოთ დაგმოს საოკუპაციო მართველობა

და გადაჭრით მოითხოვოს უცხო ლაშქრის მიერ სამშობლოს დაცლა და დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა. მთელი კაცობრიობის უჭრადღება მიპრობილია იმ თავგანწირულ და ერთსულოვანი ბრძოლისაკენ, რომელსაც აწარმოებს საქართველოს მუშათა კლასი, გლეხკაცობა, მოსწავლე ახალგაზრდობა: აჯანყებულა სვანეთი და ხევსურეთი, მთელი ქართველი ერი, რომელმაც გადიცვით, დემონსტრაციით, სიტყვით და საქმით არა ერთხელ ნათელყო ქართველი ხალხის შეუდრეკელი მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი. აი საუკეთესო თავდები სამშობლოს საბჭოთა რუსეთის ტყვეობიდან ხსნისა და უეჭველი და საბოლოო განთავისუფლებისა.

ერთა განთავისუფლების საქმე დღითიდღე იმარჯვებს. ირლანდიის ვრმა ერთსულოვანი ამოძრავებით შექმნა თავისუფალი სახელმწიფო: ეგვიპტეს ხალხმა მოიპოვა დამოუკიდებლობა. რუსეთი კი ლამობს განთავისუფლებულ ერთა დატუქსვას და მათ მონობის ბორკილებში ჩაქედვას. ის რუსეთი, სადაც ბოლშევიკური ტირანიის ქვეშ შიმშილობის გამო მილიონები იხოცება და ხალხი კაციქამიაშობის უბრუნდება. ფუჭი ოცნებაა. ეროვნული მოძრაობა უძლეველია, თავისუფლების მოტრფილე ერთადეი უზრუნველყოფილია. საქართველოდან საოკუპაციო ლაშქრის განდევნა და დამოუკიდებლობის აღდგენა უეჭველია.

მუდამ ქამს, სრული თავისუფლების მოპოვამდე, ყველა ქართველთა გულში, განურჩევლათ კლასისა და პოლიტიკური რქმენისა, უნდა დვივოდეს ერთად ერთი გრძობა—წიწლი მტარვალთა და მათ ამცოლ-დამცოლთადმი. არავითარი კავშირი საქართველოს დამპყრობელთან. ყველა შინაური და გარეშე, მახლობელი და გადამითიელი ყოველ ფეხის გადადგმაზე აშკარათ უნდა ხედავდეს, რომ მთელი საქართველო საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო მართველობას გადაჭრით უარყოფს, მისი დაუძინებელი მტერია და მტარვალთადმი უკიდურესი წიწლით გამსუყვალულია.

თავისუფალი საქართველოს აღსადგენათ მთელი ერი უნდა შენჯობრტეს. ქართველი ხალხი ჩვეულია ჭირსა და ლხინში ერთობას. ის არ გადაუხვევს ისტორიულ ნაცად გზას ამ უსაშინელესი ჭირის ხანაშიც. ჩვენ სამი მთავარი



პარტიის წარმომადგენელი გავერთიანდით საქართველოს განთავისუფლების დროის ქვეშ. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ეს არის დროა მთელი საქართველოსი და რომ მთელი ქართველი ხალხი დაირაზმება ამ დროის ირგვლივ, რათა შექმნას მთლიანი საქართველოს განმათავისუფლებელი ძლევამოსილი ლაშქარი.

სამშობლოს დამპყრობნი და მოღალატენი საქართველოს უმზადებენ რუსეთის პროვინციათ გადაქცევას. მაგრამ თვით საქართველოს მტრებმა და ორგულებმაც კარგათ იციან, რომ ეს ყოვლათ შეუძლებელი საქმეა. საქართველო თავისუფალი იყო და თავისუფლებას მოიპოვებს.

ძირს რუსეთის ოკუპაცია!

გაუმარჯოს თავისუფალ და დამოკიდებულ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების კონფერენცია:

სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სახელით: კარლო ჩხეიძე, ნოე რამიშვილი.

გერთიან. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით: გრიგოლ ვეშაპელი, ლევან ჯაფარიძე, ე. თაყაიშვილი და რ.

ჩინი ჯიღანის

საქართველოს სოც.-ფედერალისტთა პარტიის სახელით: ს. მდივანი, კ. კობახიძე.

6 მარტი 1922 წელი.

საქართველოს კოლიტიკურ პარტიათა დეკლარაცია.

საქართველო ორი ათასი წელი არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. 1783 წ. საქართველოს მეფე ერეკლე მეორემ სპარსთა და ოსმალთა მუდმივ შემოსევით შევიწროვებულმა, რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორესთან დასდო ხელშეკრულება, რომლითაც საქართველო თავისი ნებითვე რუსეთის პროტექტორატს აღიარებდა, ხოლო უკანასკნელი ვალდებულებას კისრულობდა საქართველოს გარეშე მტერთა მოგერებაში დახმარებოდა და მისი სახელმწიფოებრივი მართებლობა ხელუხლებლათ დაეცვა.

1801 წ. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I დაარდნია 1783 წლის ხელშეკრულება და საქართველო რუსეთის პროვინციად გამოაცხა-

და. ამ ძალდატანებითი აქტის წინააღმდეგ თავის დროზე პროტესტი განაცხადნენ ვეროპოლში სახელმწიფოებმა, რომელთაც არც შემდეგ დაუდასტურებიათ საქართველოს ანექსია.

ქართველი ერი ამ ანექსიის წინააღმდეგ ამხედრდა და მთელი საუკუნის განმავლობაში მრავალი აჯანყებით და რევოლუციონური აქტით უპასუხებდა რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას საქართველოს მიმართ.

რუსეთის რევოლუციის პროცესში, როცა მეფის იმპერია შემდგენელ ნაწილებათ დაირღვა, საქართველომ აღადგინა თავისი დამოუკიდებლობა. დემოკრატიული წესით არჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ შეიმუშავა რესპუბლიკის კონსტიტუცია და დაამკვიდრა სახელმწიფოებრივი წესრიგი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა «დე იურეთ» იცენეს მოწინავე სახელმწიფოებმა.

თვით საბჭოთა რუსეთმა 1920 წელს 7 მაისს ხელშეკრულებით ყოველივე პირობის გარეშე აღიარა საქართველოს სრული სუვერენობა.

მიუხედავად ამისა 11 თებერვალს 1921 წელს საბჭოთა რუსეთი ომის გამოუცხადებლათ შემოსია დამოუკიდებელ საქართველოს. ქართველმა ერმა ერთსულოვანი წინააღმდეგობით გასცა პასუხი, მაგრამ მოკლებული საკმაო იარაღს, ის ომში ძლეულ იქმნა.

საქართველოში სამხედრო საოკუპაციო რეჟიმი დამკვიდრდა, დემოკრატიული წყობილების ნაცვლათ საბჭოთა რუსეთის მიერ დანიშნულ საქართველოს რეგკომისა და ჩეკის დიქტატურა დაწესდა.

ოკუპანტებმა გაძარცვეს მთელი საქართველო, მიანგრ-მოანგრიეს მიმოსვლის საშუალებანი, მრეწველობა გაანადგურეს და წესიერი აღმშენებლობის პირობები მოსპვეს. მთელი ქართველი ერი და საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტია რუსეთის სამხედრო ოკუპაციას ებრძვის. ოკუპაციის წინააღმდეგ 1921 წ. ოქტომბერ-ნოემბერში საქართველოს მუშათა კლასმა გაუიცვა გამოაცხადა და მას მთელი ქართველი ხალხი მიემხრო. საქართველოს ორი კუთხესვანეთი და ხევსურეთი საბჭოთა რუსეთს აწკარათ აუჯანცდა და მისი ძალა-უფლება დაამხლო. მიმდინარე წლის თებერვალში, რუსეთის შემოსევის წლის თავზე, მთელი საქართველო

F11814





ფეხზე წამოდგა. მუშათა კლასმა, გლეხკაცობამ და მოსწავლე ახალგაზრდობამ დემონსტრაციები და გაფიცვები მოაწყვეს და ერთსულოვნათ მოითხოვეს საოკუპაციო ჯარის გაცანა და დამოუკიდებელ დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა. საოკუპაციო მართველობამ ამოძრავებული ხალხის წინააღმდეგ იარაღს მიმართა და რეპრესიები უკიდურესად გააძლიერა. ბრძოლა გრძელდება და მდგომარეობა დღითიდღე რთულდება. რუსეთის საოკუპაციო ჯარის მართველობა ამ ჯამათ ცდილობს საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა კონცესიებათ გაცემას. მოსკოვის საბჭოთა მთავრობა ლამობს გენუის კონფერენციაზე საქართველოს სიმდიდრით ივაჭროს.

ჩვენ, წარმომადგენელნი საქართველოში მოქმედ სამი მთავარი პოლიტიკური ორგანიზაციის—სოციალ-დემოკრატიული პარტიის, დემოკრატიული პარტიის (ბურჟუაზიულ-აგრარულ პარტიათა ბლოკი) და სოციალ-ფედერალისტთა პარტიის, რომელთაც დამოუკიდებლობის ერთსულოვნათ დაძველ დამფუძნებელ კრებაში ემხრობოდა დეკრეტათა 930/0, ვაცხადებთ:

1. დამოუკიდებელ საქართველოს სახელით უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარაკება, ხელშეკრულებათა დადება და კონცესიათა გაცემა შეუძლიათ მხოლოდ დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულ ყორდანას მთავრობას.
2. ყოველგვარი კონცესია და ხელშეკრულება დადებული ზემოთ ნაჩვენები წესის დარღვევით რუსეთის საოკუპაციო მართველობის მიერ ქართველი ხალხისათვის სავალდებულო არ არის და ყოველივე მნიშვნელობას მოკლებულია.
3. საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს და იქ თავისი საოკუპაციო რეჟიმი დააწესა, რომელიც დღემდის გრძელდება. ასეთი აქტი რუსეთისა სრულიად ეწინააღმდეგება იმ დებულებას, რომელიც კანის კონფერენციის რეზოლუციის მეექვსე მუხლში არის აღნიშნული და რომელიც დიდ სახელმწიფოთა დადგენილებით სავალდებულოა მეზობელ სახელმწიფოთა ურთიერთობაში. მთელი ქართველი ხალხის სახელით ჩვენ მოვითხოვთ საქართველოდან რუსეთის ჯარის გაცანას და ოკუპაციის გაუქმებას, რასაც ბუნებრივით მოყვება რესპუბლიკის კონსტიტუციის მიერ დაწესებული კანონიერი რეჟიმის აღდგენა.

4. თუ ეს სამართლიანი მოთხოვნები არ იქმნა დაკმაყოფილებული მშვიდობიანი გზით, არსებულ საერთაშორისო უღლებრივ ნორმათა თანახმად, ქართველი ხალხი იძულებული იქნება მიმართოს ბრძოლის ყოველნაირ საშვალეებს კანონიერი სახელმწიფოებრივ უფლებათა აღსადგენათ და რუსეთის საოკუპაციო მართველობისა და უკანასკნელის კონტრაგენტთა მიერ ქვეყნის ბინებრივ სიმდიდრეთა მოსაღონელ გაფლანგვის თავიდან ასაცილებლათ.

საქართველოს სოც-დემ. პარტიის სახელით: საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე, დამფუძ. კრების წევრი და თფილისის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი.

საქართველოს დემოკრატიული პარტიის (გაერთიანებულ ეროვნულ - დემოკრატიული, ეროვნული, მიწის მესაკუთრეთა და რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტიები და უპარტიოთა კავშირი) სახელით: დამფ. კრების წევრი გრ. ვეშაპელი, დამფ. კრების თავმჯ. ამხ. ე. თაყაიშვილი, მთავარი კომიტეტის წევრი ლ. ჯაფარიძე, ნიკოლოზ ჯაყელი—მრეწველი.


საქართველოს სოც.-ფედ. სარეგულირებელი პარტიის სახელით: დამფუძნ. კრების თავმჯდომარის ამხანავი სიმონ მდივანი, კ. კობახიძე.

6 მარტი 1922 წ. პარიზი.

მთლიანი ეროვნული ფრონტი.

ერთი მძიმე წელი შესრულდა უკვე მას შემდეგ, რაც რუსეთის წითელმა ჯარებმა დაიპყრეს საქართველოს ტერიტორია, გააუქმეს მისი დამოუკიდებლობა, რუსის სალდათის ჩექმას გაათელიეს ქართველი ხალხის უფლებები და წითელი ტერორის და ძალმომრეობის რეჟიმი დაამყარეს მთელს რესპუბლიკაში.

ქართველ ხალხს არა ერთი წელი გაუვლია უცხოელთა ბატონობის ქვეშ; ჩვენი მოხუცი ისტორიის წიგნში, უმეტესი დურტლები მწუხარე არშიებით არის შემოღლებული, მაგრამ ის, რაც თანამედროვე საქართველოს უხდება გადაიტანოს, წარსული ისტორიის ცველა მაგალითებს აღემატება. წარმოუდგენელ ენიკურ ტანჯვას, რომელსაც ქართველი ხალხი განიც-



დის, თან ერთვის ყოველდღიური დამცირება ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობისა—საქართველოს ხელისუფლობენ და მისი სახელით მოქმედებენ უკიდურესი ნაძირალები ჩვენი ქვეყნისა; მოღალატენი, ერის ერთსულოვანი ნებით სამარცხვინო ბოძხედ გაკრულნი წარმომადგენლობენ ამ ერს და მისი სიმდიდრით ვაჭრობენ.

ყაჩაღები და ქურდები, რესპუბლიკის ციხეებიდან განთავისუფლებულნი მტრის ძალის მიერ, მართავენ მის საქმეებს და აშუაარა ავაზაკობას კანონის ფორმაში სახავენ.

აეთს პირობებში, ვერც ერთი ქართველი მოქალაქე და მით უმეტეს პოლიტიკური პარტია, მშვიდათ ვერ უტკეერის თავის სამშობლოს გაცემას და მის განადგურებას—ასეთს პირობებში აღარ შეიძლება, რომ არსებობდეს პოლიტიკური პარტია თავის განკერძოებული სახით და მოქმედებით:

არის ქართველი ერი, შეურაცხოფილი და მონობის ბორკილში გატრლი და ცოველი ცოცხალი ძალის წინდა მოვალეობას შეადგენს მთელი თავისი ღონე მისი განთავისუფლების სამსხვერპლოზე მიიტანოს.

ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ხანაში შეიქნა ერთი წმინდა ტრადიცია, რომელიც საუკეთესო მაჩვენებელი იყო ჩვენი ერის მაღალი კულტურის და ეროვნული ინტერესის შეგნებისა: გარეშე ძალის წინ, მთელი საქართველო გაერთიანებული სდგებოდა და ცველა პოლიტიკური პარტიები თავის ანგარიშებს პორთფელში სდებდენ მშვიდობიანი დროისთვის გასასწორებლად—ასე იყო ცველა იმ ომების დროს, რომელიც ახალგაზრდა რესპუბლიკას თავს გადახდა.

ასეთივე ერთსულოვანი იყო ჩვენი ომი რუსეთთან. მაგრამ რესპუბლიკამ ვერ გაუძლო ბარბაროუსლ რუსეთის უხეშ ძალას და ბრძოლის ველზედ დამარცხებული დაეცა; ჩვენ არ ვეხებით დღეს ამ დამარცხების მიზეზს და არც დამნაშავეთ ვასამართლებთ—ბრძოლა საქართველოსთვის ჯერ დამთავრებული არ არის—ჩვენ ომის პროცესში ვიმყოფებით და მთელი ჩვენი ენერგია ამ ბრძოლისთვის უნდა იქნეს გამოყენებული.

ანგარიშის გასწორებისათვის დაგვიდგება შესაფერი დრო და მოსმართლვ მაშინ თვით ქარ-

თველი ხალხი იქნება, რომლის უზენაესობის წინაშე ცველა ქედს მოიხრის.

ჩვენდა სამწუხაროთ წარსული წლის განმავლობაში ჩვენი ფრონტი არ იყო მთლიანთ გამართული: ცველა პოლიტიკური პარტიები იბრძოდენ საქართველოს განთავისუფლებისათვის, ცოველ პოლიტიკურ პარტიისათვის ერთნაირად შეუწყნარებელი იყო უტხოელთა ბატონობა, მაგრამ ამ მებრძოლ პარტიებს შორის არ იყო ის ჯაჭვი, რომელნიც ცველა ძალებს ერთს წეებაში დარაზმავდა.

ჩვენი დაქსაქსვა კი უადრესად ხელსაყრელია მტრისათვის.

ამ მიზნით ვეროპაში მცოფმა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებმა, მოიწვიეს ამ გაერთიანების კონფერენცია, რომლის მოწოდებაც იბეჭდება «თავისუფალ საქართველოს» დღევანდელ ნომერში.

ხსენებულ კონფერენციაზე სამი პოლიტიკური პარტია გაერთიანდა ერთი ლოზუნგის ქვეშ: ბრძოლა ოკუპანტებს—საქართველოს დამოუკიდებლობა.

კონფერენციის დადგენილების ძალით სამივე პარტიამ უნდა იმოქმედოს სრული შეთანხმებით და მთელი თავისი ძალით და ენერგიით შეეცადონ სამშობლოს განთავისუფლებას.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ დროშის ქვეშ დადგება არა მარტო ის პარტიები, რომელნიც პარიზის კონფერენციაზე იცვენ წარმოდგენილი, არამედ ცველა სხვა ძალებიც და ეს მთლიანი ეროვნული ფრონტი, ქართველი ხალხის მიერ მძლავრათ ზურგ გამაგრებული, გამარჯვებული გამოიტანს ბრძოლის ველიდან საქართველოს დროშას.

საამისო ნიშნები უკვე სჩანს.

ლ. ჯაფარიძე.

ბოლშევიკური ფაღარაკი.

ცოველი იდეის გაუკუღმართება—ცოველი სალი აზრის ბოროტათ გამოცენება—ი პრინციპები, რომელსაც მისდევნენ ერთგულათ მოსკოვის კომუნისტები და მათი კაცასიელი აგენტები. ვინ არ იცის, რომ მათ სოციალიზმის და მუშათა კლასის განთავისუფლების იდეა ხოცვა-ჭლეტის და მუშათა კლასის განადგურება-აწიოკების საბუთათ გამოიციენეს, ერთა

თავისუფლება და დამოუკიდებლობა დამონობის და იმპერიალიზმის იარაღათ.

ახლა კიდევ ერთა ფედერაცია—ეს ფორმა ხალხთა შორის მეგობრული, მჭიდრო კავშირის დამყარებისა, კავკასიაში ამ ერებზე თავის ბატონობის გაძლიერებისა და ასე თავისუფალ სანაჯარდო ასპარეზად გადაქცევისათვის წამოაყენეს განსახორციელებლათ. და თორმეტ მარტს ამა წლისა, ამიერ-კავკასიის საბჭ. რესპ. სამმა რევკომმა ერთი ხაზინის «კავებიუროს» ბრძანებით და კარნახით, იგი კიდევ განახორციელა. მან დიდის რიხით აღიარა «ამიერ-კავკ. საბჭ. რესპუბ. ფედერაცია» და აირჩია ფედერალური მთავრობა.

ვინ და რა გააერთიანეს მათ ამით?

სამი ერთი მოვარეგეთ, ისტორიული წინააღმდეგობა მათ შორის მოვსკეთ—ძმობა და სოლიდარობა გავამეფეთო—გაიძახიან ეს მოძალადეები;—ნამდვილათ კი მათ გააერთიანეს სამი რევკომი, სამი დიქტატორული მცირე ჯგუფი, რომელნიც ყველანი ერთ მე-11 რუსის არმიას ეყრდნობიან თავის ბატონობაში, რადგან ადგილობრივ ხალხში ფესვები არა აქვთ. მათ გააერთიანეს თავის ძალები, თავის წრეები, რომ «კავებიუროს» ბრძანების გაცემა გაუადვილდეს ხოლო მე-11 არმიას დღეს, კავკასიის განსაკუთრებულ არმიათ წოდებულს, ხალხის მათთვის დამორჩილება.

და ისინი ვერც მალავენ ამას: მიწეზი გაერთიანების მათივე სიტყვით იცო, სურვილი ეკონომიური გაღონიერების და უკეთესი სამხედრო თავდაცვის, რასაკვირველია, «კონტრ-რევოლიუციონერებისაგან».

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ პირველი იხატება ამ რესპუბლიკების, განსაკუთრებით საქართველოს გაძარცვაში რუსეთის სასარგებლოთ, ხოლო მეორე მეთერთმეტე არმიის ძლიერებაში. ამ არმიას ხელს უშლის სამი რევკომის ცოლა. სამ აგენტთან საქმის დაჭერას მას ურჩევნია ერთი ყავდეს და აი ფედერაციას აღლევს მას ამ გაერთიანებულ ცენტრს. კავკასიის ერები აქ სრულიად არაფერ შუაშია. მათი ქონება გაერთიანდა გაზიდვის გასაადვილებლათ მათი სურვილის და ნების წინააღმდეგ. ხოლო ეროვნული სამხედრო ძალები მათ არ მოეპოვებათ, რადგან ნაციონალურ ჯარის შექმნას მოსკოვის მოძალადენი დღესაც გაუბრძიან.


მართლაც მათ გააერთიანეს ეკონომიური დარგი ამ რესპუბლიკების. და ამას ზედ დაურთეს ერთი ახალი ჩეკა მთელი ფედერაციისთვის ცნობილი ჯალათის—რუსანოვის თავმჯდომარეობით. ცხადია, გააერთიანეს იარაღი დამონების, ტერორის და გაძარცვის. მუშების და გლეხების სახელით ლაპარაკი აქ უსირცხვილო ფალსიფიკაციაა. ერების გაერთიანებაზე ლაპობა—თვალთმაქცობაა. ისინი მხოლოდ ობიექტია ამ ახალი ექსპერიმენტების და არა სუბიექტი, ისინი კომუნისტთა საჯიჯგნათ გამხდარი საგანია და არა შემომქმედი. ფედერაცია ბოლშევიკების,—ეს არის მხოლოდ ახალი ორგანო კავკასიის ერთა საუკეთესოთ დასამონებელი, ეს არის ახალი აპარატი მოსკოვის ბორტომოქმედების გასახანგრძლივებლათ, ეს არის ბოლოს გზა და ხიდი კავკასიის სახელით შემდეგ თვით მოსკოვზე გადაშლის და ასე დამოუკიდებელ რესპუბლიკათა არსებობის სავესებით გაუქმების—რასაც გაკვრით იხსენიებენ მომხსენებელნი ფ. მახარაძე და შ. ელიავა. ერთი სიტყვით ეს არის ფედერაცია—გარუსების.

კავკასიის ხალხები დიდი ხანია უარგოფენ ამ მოძალადეთა მართველობას და მათ უფლებას ადგილობრივ ერთა სახელით ილაპარაკონ.

ამიერ-კავკასიის მუშებს და გლეხებს, ინტელიგენციას და საერთოთ ერის ცველა წრეებს, რომელნიც წინააღმდეგი არიან მონობის, დღეს სულ სხვა საზრუნავი აქვთ: ამ მოძალადეთა მძიმე უღლის თავიდან მოშორება, მოსკოვის წითელ იმპერიალიზმის შავი კლანჭებიდან თავის დაღწევა.

და კავკასიის ერები ქმნიან ნამდვილ ფედერაციას, ნამდვილ თანამშრომლობას სწორეთ ამ მიზნის მისაღწევათ.

აი აქ ამ ბრძოლის პროცესში, ამ საერთო ბედის გაჭედვაში ინასკვება ნამდვილი და მტკიცე კავშირი ამ ერებს შორის, აქ ირანხმება მათი დემოკრატიული და ეროვნული ძალები, რომ შექმნას რეალური პირობები თავისუფალ ერთა თავისუფალ ფედერაციის. და კავკასიის ერები განახორციელებენ ამ თავის მისწრაფებას.





გოლუაზიფის კრიზისი და საქართველო.

მოსკოვის კომუნისმი დიდ გასაჭირშია. ბოლშევიკთა მეთაურები აქეთ-იქით ეხეტებებიან, რომ გამოსავალი მოძებნონ და თავისი განწირული სიცოცხლე გაიხანგრლიონ.

ოპიზი წლის განმავლობაში ისინი ბურჟუაზიულ წყობილებას არღვე დენ და კომუნისმის დამცარებას ცდილობდენ. მართლაც მათ ძირბუღიანათ მოსკეს დემოკრატიული წყობილება, გააუქმეს დიდი რევოლიუციის მიერ მოპოვებული პოლიტიკური თავისუფლება და განამტკიცეს უაღრესი დესპოტიზმი, რომლის მსგავსი ისტორიას არ ახსოვს. განა ჩინეთის ბოგდისხანების რეჟიმი და ესპანიის ტრაკემადების ინკვიზიცია შეედრება ჩეკას მიერ სოციალისტთა და რევოლიუციონერთა წამებას და სახელით წითელი, ხოლო გულით და საქმით შავი ლაშქრის ვაკხანალიას!

და აი მრავალი სოციალისტი აწამეს, ათასობით რევოლიუციონერები გაყლიტეს, ხოლო კომუნისმი არსად სჩანს. მართალია ფაბრიკაქარხნები გაძარცვეს და მათი ნაციონალიზაცია გამოაცხადეს, სახლებიდან ავეჯეულობა დაიტაცეს, ბურჟუაზიას რაც რამ ებადა წაართვეს, ხალხს ოქრო-ვერცხლი და ცოველნაირი სიმდიდრე ჩამოართვეს და ის გააღატაკეს, მაგრამ მუშათა კლასს ამით არა თუ არაფერი ეშველა, მისი მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი შეიქნა: ის დაიმშა და ფიზიკური გაყლების წინაშე დადგა. და აი მოსკოვის დესპოტები უკან იხვევენ, რასაც გუშინ ქადაგებდენ, დღეს უარყოფენ, ბურჟუაზიას გაქრობის მაგიერ, ელოლიავენბიან: მოდით, ჩვენი ქვეყანა მდიდარია, მაგრამ დამშეულია, თქვენ გასუქდით და ჩვენც სიკვდილისაგან დაგვიხსენითო! «ახალი» ეკონომიური კურსით თავის კომუნისტურ ექსპერიმენტებს აბათილებენ და სამრეწველო ბურჟუაზიის მაგიერ, რომელიც ამოკლიტეს, ან რუსეთიდან განდენენ, სპეკულიატიურ ბურჟუაზიას გზას უკაფავენ, მის მიერ მუშათა უსახვრო გაცლეფას ეხმარებიან და მათ დატუქსვას ხელს უწყობენ.

მერე რა შედეგი მოუტანა «ახალმა» ეკონომიურმა კურსმა საბჭოთა რუსეთს? შეიძლება მართლაც შიმშილობა მოისპო, ეკონომიური

არევიდარევა გაუქმდა და წარმატება შეიძლება კალპოტში მოექცა?

ბოლშევიზმი ძლიერი იცო კომუნისტური ფრაზეოლოგიით. დღეს ეს მოჩვენებითი ძალაც მოისპო და მთელი ცხოვრება კიდევ უფრო აირადირია და გაუარესდა. კომუნისმის პირველსვე ხანაში ხალხის ნივთიერი მდგომარეობა შეირცა და ის დაიმშა. მაგრამ ეს იცო საერთო მოვლენა. მუშათა კლასს წინანდელ თაობაიამიერ დაგროვილ სიმდიდრის განწილებით ათრობდენ. მუშა შიმშილობდა, მაგრამ ცოფილი ბურჟუა კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. «ახალმა» კურსმა ეს მოხმარებეს თანასწორობა გააუქმა, პირველყოფილი კომუნისმის აჩრდილი გააქრო და მშრომელ ხალხს თავზე ეველაწე უფრო მძარცველი და ცაჩადღრი ბურჟუაზია წამოასკუპა. ხალხი შიმშილით იხტება, ხოლო სპეკულიანტები ლაღობენ, ქეიფობენ და შეექცევიან. ეკონომიური წინამდევობა, რომელიც წინეთ ბოლშევიკურმა ტერორმა მიქმალა, ახლა მთელი სიგრძე-სიგანით წინ წამოიქიმა და ეველასათვის თვალსაჩინო შეიქნა.

ახალი ბურჟუაზია საქმიანობს არა წარმობაში, არამედ სპეკულიაციის სფეროში. წარმობა დღითიდღე ინგრევა, მიმოსვლის საშუალებანი ისპობა და რუსეთი ბარბაროსულ მდგომარეობაში ვარდება. დღეს თვით ბოლშევიკებისათვის ცხადია, რომ შიმშილობა ერთი-ორათ გადართოვდა და საშიში ხასიათი მიიღო. ელოგის რაიონს ემეტება უკრაინის აღმოსავლეთი ნაწილი დონეცის რაიონით. აქ მუშები მალარობებიდან გარბიან და ქვანახშირის ამოღება და დამუშავება მცირდება. ეს ცოტაა. შიმშილობა ველიკოროსიის თვით შუაგულს მოედდა და მოსკოვის უახლოვდება.

ასეთია კომუნისტური საქმიანობის შედეგი. მან ვეროპის მარჩენალი რუსეთი სასადლოთ აქცია, სადაც ხალხი მილიონობით იქლიტება და მთელი ოლქები უდაბნოთ იქცევა. ეს რასაკვირველია მიეწერება არა გვალვას არამედ ექსპერიმენტებს, რომელსაც ბოლშევიზმი ატდენდა. მან გლეხს პური და ცხენი წაართვა, რუსეთი საცოველთაო მილიტარისტულ ბანაკთ აქცია, ახალ-ახალი ქვეყნები დაიპყრო და ისინი გაძარცვა. გლეხი მიწასა და ველს მოაშორეს, მუშა ფაბრიკიდან გამოიციანეს და წითელ

ლაშქარში წარგზავნეს, წარმოება მოშალეს და ქვეყანა გააღატაკეს. და აი შიმშილობა ვითარდება, მისი რაიონი ფართოვდება და რუსეთი ვერანდება. დაუბრუნებელი ამას მიმოსვლის საშუალებათა განადგურება და თქვენთვის აშკარა იქნება ის უფსკრული, რომლის წინაშე დგას საბჭოთა რუსეთი. რასაკვირველია ბოლშევიკები არას დაგიდევნენ ოცი და ოცდაათი მილიონი ხალხის გაქლევას. მათთვის საინტერესოა ხელში ძალაუფლების შერჩენა და ექსპერიმენტის მოხდენა. მაგრამ ისინიც კარგათ ხედავენ, რომ შიმშილობა ისე ვითარდება, რომ თვით მოსკოვიც საჭრთხეში ვარდება. რადუნობა თვისებათ იქცევა. სანამ შიმშილობა იშვიათი მოვლენა იყო და რუსეთის მხოლოდ ზოგიერთი, უმნიშვნელო ნაწილები იტანჯებოდა, ეს ბოლშევიკებისათვის ნაკლებ თავსამტერვეი საგანი იყო. ხშირათ, ეს მათი შერყეული პიზიციის გამაგრებას ემსახურებოდა, «კონტრ-რევოლიუციონური» ევროპის ბლოკადამ რუსეთის მუშათა კლასი დაამშია. დღეს ეს ნაცადი დემოგოგიური იარაღი დაჩლუნგდა, და ამ საკენკით შეცდომაში ვერავის შეიყვანთ. მდგომარეობა აუტანელი ხდება.

ეს კარგათ იციან თვით ბოლშევიკებმა. მათ ვოლგის დამშეული რაიონი გასწირეს, სიამოვნებით რამოდენიმე ახალ ოლქსაც გაიმეტებდნენ, რომ შიმშილის შავი აჩრდილი თვით საბჭოთა ძალაუფლებას არ ემუქრებოდა. ცხადია შექმნილ მდგომარეობაში რუსეთი თავისი ძალღონით ფეხზე ვერ წამოდგება და რთულ პირობებს თავს ვერ გაართმევს. ბოლშევიკების წყალობით რუსეთს ევროპის კოლონიათ გადაქცევა მოეღის. და აი კომუნისტებიც რუსეთის გაციდვას და მის სიმდიდრეთა კონცესიების გაცემას შეუდგენ. ამით აიხსნება, რომ მათი მთელი ყურადღება მიპყრობილია გენუის კონფერენციისაკენ. გენუა—ის თილისმანა, რომელიც მომავლად საბჭოთა ძალა-უფლებას ოქროს ჩაუჩხრიალებს და სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს. ასეთია თვით ბოლშევიკების იმედი. ისინი, ვინც გუშინ ბურჟუაზიულ ევროპას ანგრევდნენ, ამჟამათ ყოველ გზაჯვარედინზე ბურჟუაზიას რუსეთში იწვევენ და მდიდრათ გამასპინძლებას შესთავაზებენ. ამდენათ გათახსირდა და გაკოტრდა რუსეთის კომუნისტური პარტია.

მაგრამ ბოლშევიკთა საუბედუროთ თვით ეს

ეს უკანასკნელი იმედიც სრულიად უნადაგაოა. ბურჟუაზია ანგარიშის ხალხია და მას ადვილათ ვერ გააცრუებთ. მან რუსეთში მრავალი მილიარდი ოქრო დაჰკარგა. მისი ინტერესია ბაჯლო ოქროს თუნდაც ნაწილნაწილათ უკან მიღება და თავისი საქმის გამოსწორება. მაგრამ რუსეთმა მკიდველობითი ძალა უკვე დაკარგა და ერთ დროს ევროპის პურით მარჩენალი სხვისი სამოწყალო შეიქნა. ის ევროპის ბურჟუაზიას უქადის არა ხეირსა და მოგებას, არამედ ახალ ხარჯსა და ზარალს. ბოლშევიკები კი ბურჟუაზიასაგან ახალ მილიარდებს ითხოვენ, ხელი გამოგვიწოდეთ, მოვლონიერდებით და გავასუქებთო. ეს მოასწავებს ბურჟუაზიის მიერ ახალი მილიარდების დაკარგვას და თავისი მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას. რასაკვირველია ეს კომუნისტური ფილოსოფია ევროპის ბურჟუაზიას სასაცილოთაც არ ცოფნის და სანამ ახალ მილიარდებს საქმეში ჩააბანდებდეს, ძველი თამასუქების განაღდებას მოითხოვს. ამით საბჭოთა რუსეთისათვის გენუის როლი უკვე გამოაშკარავდა. კონფერენცია კომუნისტებს კარგს არას უქადის და მათ საბოლოო იდეურ გაკოტრებას ამზადებს. სწორეთ ამით აიხსნება ის მუქარის ტონი, რომელიც ბოლშევიკებმა კვლავ ევროპის საწინააღმდეგოთ აიღეს.

მართლაც, ჩვენ დავინახეთ, რომ საბჭოთა რეჟიმი იდეურათ გაკოტრდა და ნივთიერათ გადატაკდა და უფსკრულისაკენ მიენართება. რა დარჩენიათ ასეთ პირობებში ბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელთ?

საბჭოთა რუსეთი ჩიხში მოექცა. ბოლშევიკებმა კომუნისმი დამარხეს და მტაცებლური ბურჟუაზიის ქანდარმათ გვევლინებინან. მაგრამ ეს იარაღიც ჩლუნგი გამოდგა. ამ უკანასკნელი პოზიციის დათმობამაც არ გასჭრა. და აი მათ წინაშე ასეთი დილემა დაისვა: ან იარაღის დაყრა და ძალაუფლების სხვის ხელში გადაცემა, ან ევროპის წინააღმდეგ დარაზმვა და უკანასკნელი ბედის ცდა. პირველი გზა მოითხოვს იმ პარტიებთან დაკავშირებას და კოალიციის შექმნას, რომელთაც ბოლშევიკები მთელი თავისი ძალღონით ებრძოდნენ. რუსეთის სოციალისტ-რევოლიუციონერებთან და სოციალ-დემოკრატებთან კოალიცია ბოლშევიკური დოქტრინის მშვიდობიანი დასამარება იქნება. ეს ხელსაყრ-



ლია ბოლშევიზმისთვის: ამათ ის რამდენიმეთ მინც თავიდან ააშორებს მუშათა კლასის წინა-
შე პასუხისმგებლობას იმ მრავალ დანაშაულთა
გამო, რომელიც მან ჩაიდინა მუშათა ორგანი-
ზაციების დატუქსვით და დემოკრატიული წყო-
ბილების მოსპობით. ეს საზარალოა სოციალის-
ტური პარტიებისთვის. ისინი ბოლშევიკთა სი-
სტემის მონაწილენი გახდებიან. მაგრამ ეს ბოლ-
შევიკთა მიერ თავისი თავის უარყოფაა და ამი-
ტომაც მისი განხორციელება დიდათ საეჭვო
საქმეა. ბოლშევიკები თავის ბლანკისტურ მეთო-
დებს ასე იოლათ ვერ უღალატებენ. ისინი მუ-
დამ ნაკლები წინააღმდეგობის გზას ირჩევენ
და შედარებით ადვილ რეცეპტებს ებღუშე-
ვიან. ეს არის ახალი ომის დაწყება და პოლო-
ნეთისა და რუმინიის წინააღმდეგ «წითელი»
არმიის დარაზმვა. შიმშილობის გამო ჯარი
იხრწნება და ბოლშევიკთა ბურჯი თავისით
კვდება. ან ჯარის დაშლა და მით ბოლშევიზ-
მის მშვიდობიანი ლიკვიდაცია, ან ახალი იმ-
პერიალისტური ომის დაწყება. წინააღმდეგ
შემთხვევაში დამშეული ჯარი რომელიმე გე-
ნერლის ხელში ბონაპარტისტული გადატრია-
ლების იარაღი გახდება და ბოლშევიკთა ბატო-
ნობის წესს ერთი დაკვრით აუგებს. დემოკრა-
ტიის დატუქსვით ბოლშევიკებმა თვით შექმნეს
წინასწარი პირობა ბონაპარტიზმის რუსეთში
გასამარჯვებლათ.

ბოლშევიზმი საბედისწერო ამოცანის წინაშე
დადგა. თუ ის ომს აირჩევს მისი დასამარება
უეჭველი გახდება. თუ ის ომს უარყოფს და
მშვიდობიანი გზის გამოძებნას დაიწყებს,—მი-
სი დაცემა ბუნებრივით მოხდება. საითკენაც
არ გადაიხრება, ის უფსკრულში მიემართება.
ახლო მომავალი გვაჩვენებს, ლიკვიდაციის რო-
მელ ფორმას მოახვევს მას თავზე წამებული და
ტანჯული რუსეთის ისტორიული მსვლელობა.

რასაკვირველია წინასწარ ძნელია ისტორიულ
მოვლენათა გარკვევა. მაგრამ საქმის გართუ-
ლება მოსალოდნელია ახლო მომავალში. ბოლ-
შევიზმის ძალა იღვევა, მისი რაზმები სუსტდება,
ხოლო პრობლემები რთულდება, განსაკუთრე-
ბით კი შიმშილობის გაფართოება საბედისწერო
ხდება. ამას დაურთეთ რუსეთის ფინანსური
არე-დარევა, ცხოვრების საზღაპრო გაძვირება
და მთელი ეკონომიური ცხოვრების განადგუ-
რება და თქვენთვის ადვილი წარმოსადგენია ის

კატასტროფა, რომლის წინაშე დგას საბჭოთა
რუსეთი.

ბოლშევიზმმა რუსეთი ბარბაროსულ მდგო-
მარეობაში ჩააგდო, ქალაქი სოფელს მოსწყვი-
ტა და მთელი ხალხი კანიბალიზმის ხანაში გა-
დაისროლა: კაციკუამიაობა რუსეთში ჩვეულებ-
რივი მოვლენა შეიქნა. დამშეული რუსეთის
ხალხი თავის კერას თანდათან შორდება, მამა-
პაპისეულ ადგილებს სტოვებს და თავს იტრის
იმ ადგილებში, უმთავრესათ ნავთსადგურებში,
სადაც უცხოელთა საწყობებია და რჩეულთ და
ბედნიერთ მუქათათ აჭმევენ. სახელმწიფო აპა-
რატი თანდათან ქრება, ეკონომიური ორგანიზ-
მი, რომელიც სახელმწიფოს სხვადასხვა კუთ-
ხეების ერთიმეორეს უკავშირებდა ისპობა და
რუსეთი კვლავ თავის შემადგენელ ნაწილებათ
ირღვევა. რაწამს შედრკება «წითელი» ლაშქა-
რი, და აუძლურდება მისი რაზმები, გაიქცე-
მოიქცევიან დამშეული ჯარის-კაცები, ვეებერ-
თელა რუსეთი ისევ დაქუცმაცდება და ანარქი-
ის არაჩვეულებრივ ტალღაში გადაეშვება.
ბოლშევიზმმა გააძლიერა განაპირა ერთა სეპა-
რატიზმი და ეროვნულ მოძრაობას ფართო
ეკონომიური საფუძველი შეუქნა. ცველა ერი და
კუთხე მიიღტვის თავისი შედარებითი კეთილ-
დღეობა შემოქალტოს, მას რკალი შემოარტ-
ყას და აგორებული ტალღა დამშეულთა და
განწირულთა თავის საზღვრებში არ შემოაუშ-
ვას.

საქართველო, რომელიც იტანჯება ორმაგი
უღლის ქვეშ, ძალაუნებურათ განსაკუთრებული
ცურადლებით უნდა ადვენებდეს თვალს რუსე-
თის კრიზისს. საოკუპაციო მართველობამ გა-
აუქმა საქართველოს ეროვნული თავისუფლება,
მას დამოუკიდებლობა წაართვა და რუსეთის
პროვინციათ გადააქცია. ამავე დროს მან მოს-
კო დემოკრატიის ბატონობა და დააწესა რუ-
სეთის საოკუპაციო ჯარის მიერ დანიშნულ
ჩეკას დიქტატურა და გააბატონა შავი ლაშ-
ქრისა და რუსეთიდან გადმოხვეწილ მოხელეთა
და გადამთიელთა დესპოტიზმი. საქართველოში
ბატონობს ცველა გარდა ქართველთა, ხოლო
ქართული დროშა შეღალტულია, ჩვენი კულტუ-
რა ფეხქვეშ გათელილია და უადრესათ განვი-
თარებული ქართველი დემოკრატია სასტიკათ
დევნილია. ეს მურვან-ყრუების, თემურ-ლენ-
გების, შაჰ-აბაზების და ალა-მაჰმად-ხანების



ერთსა და იმავე დროს ცოველი მხრიდან შემოსევა. ასეთი შავი დღე საქართველოს ჯერ არ მოსწრებია.

ქართველმა ხალხმა ამ უბედურებას თავიდანვე აღლო აულო და საოკუპაციო ლაშქრის გაბატონება აშკარათ დაგმო. დღეს ის გადაჭრით იბრძვის შემოსეულ ურდოთა ბატონობის წინააღმდეგ და ოკუპაციის მოსპობას გადაჭრით მოითხოვს. ამ შემთხვევაში ქართველი ხალხი ემყარება როგორც საკუთარ ძალდონეს, ხანგრძლივ განმათავისუფლებელ მოძრაობაში გამოწრთობილ და გაკაქებულ თავიანთ რაზმებს, აგრეთვე ევროპის დემოკრატიის თანაგრძობას და მოწინავე სახელმწიფოთა გადაწყვეტილებას, რომელთა მიერ საქართველო დეიურეთ არის ცნობილი და რომლის ძალითაც ისინი ვალდებული არიან ხელი შეუწყონ რუსეთის იმპერიალისტური ნაბიჯის გაბათილებას საქართველოს მიმართ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ხელმძღვანელნი, ერის განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურები ცოველივე ამას გამოიყენებენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა კვლავ დაიბრუნონ და დემოკრატიული რესპუბლიკა აღადგინონ და განამტკიცონ.

ნოე რამიშვილი.

მოხუცი სილვას უკანასკნელი დღეები.*)

სწორეთ ერთი წლის წინეთ, როცა რუსეთ-ოსმალეთის შეერთებული ძალები ანგრევდნ საქართველოს უკანასკნელ ბუეებს გურიას და ბათუმს, მოხუცი სილვა ვნახე ბათუმში. მისი მუდამ სათნო მიმზიდველი და რევოლიუციონური ცეცხლათ აღგზნებული სახე, საშინელ ტრადიზმს აღვესო, მაგრამ კატასტრფას ვერ მოეტეხა ფოლადის ენერგია და გაკაქებული სული კვლავ ძალებს იკრებდა ახალი ბრძოლისათვის ახალ ეკლიან გზაზე სავლელათ. და მაშინ, როცა ბევრი შეიძლება ფიქრობდა, რომ ეს იყო უკანასკნელი გაბრძოლება, რომ იმედები დაიშხვრა, როგორც საყვირი გაისმა მოხუ-

ცი სილვას მუქარე ხმა, მან გადასწრის ალზრდილ და გაფუჩქნილ პარტიას: «უკან საქართველოში, მომყევით მე ამანაგებო!»

ორი თვეც არ გასულა, რომ ჩვენი პარტიის მიერ აღებულმა გეზმა, საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ მიმართულმა 10 აპრილის დადგენილებამ, დამპყრობელთ ხელები გაუხსნა და საქართველოს ციხეები აივსო მუშებით და რევოლიუციონურ მოღვაწეებით. რევკომმა მთელი თავისი აშკარა და საიდუმლო აპარატები ჩვენს პარტიას დაუპირდაპირა და სოციალ-დემოკრატია კანონს გარეშე გამოაცხადა. რეპრესიები არც სილვას აცდა. დამპყრობელმა სამართლიანათ ხედავდენ მასში თავის უდიდეს და ცველანზე შეურიგებელ მტერს. მისში და იენისში მოხდენილ დარბევის დროს, მოხუცი სილვაც მეტეხში მოათავსეს. მან მთელი ზაფხული ციხეში გაატარა, ხოლო როცა მისმა გატეხილმა ჯანმა და მოხუცმა სხეულმა ვერ აიტანა ახალი საკარტოლო რეჟიმი და და სექტემბრის პირველ რიცხვებში მეტეხში მძიმე ავთ გახდა, დიდის ვაივაგლახით მოხეხდა სილვას თავის საკუთარ ბინაზე ცოლშვილთან გადმოცვანა. ჩეკას მხედველობა ამ შემთხვევაშიდაც ძალაში დარჩა.

ვერც მოასწრო სილვამ გამომჯობინება, რომ მას ახალი უბედურება დაატედა თავზე. მეტეხში გარდაიცვალა ამხ. პარმენ ჭიქინაძე. ამან ავთმყოფზე დიდი გავლენა მოახდინა და თუმცეკიმებმა აუკრძალეს, მაგრამ მან გადასწყვიტათვით მიეღო მონაწილეობა პარმენის დასაფლავებაში. 10 ოქტომბერს სილვას ველარ იცნობდით.

9 ოქტომბერს პარმენის დასაფლავებაზე ნახულ პროცესიას სილვაში მოეხდინა საოცარი გადატეხვა. ათრთოლებული ხმით, ცრემლმორეული, იმედების ცეცხლით გვიამბობდა ის 10 ოქტომბერს, რომ ქართველ ხალხს ვერ მოდრეკს დამპყრობი ძალა და საქართველოს დემოკრატიის გამარჯვების ჟამი დაჰკრავსო. მასში გაცოცხლებულიცო ახალგაზდური გატაცება. აღმდგარიცო რევოლიუციონური ენერგია და ეს ენტუზიაზმი იმდენათ მომზიბლავი, იმდენათ გადაძდები იცო, რომ ცველას გვათბობდა, ცველას მის გარშემო თავს გვიცრიდა, ენერგიას გვმატებდა და ჩვენი გზის სისწორეს გვიმტკიცებდა.

*) გადმობეჭდილია საქართველოში სოც.-დემ. პარტიის ცენტ. კომიტეტის მიერ გამოცემულ ბიულეტენსილიბისტრო ჯიბლაძე-დან.

«თავ. საქ.» რედ.



ქართული
დემოკრატიული

ორი-სამი დღის შემდეგ სილვას ბინას ჩეკა ესტუმრა, პარმენის დასაფლავების მეორე დღესვე მან გადასწყვიტა სახლში არ მოეცადა და არალეგალურ მუშაობაში ხელმძღვანელის როლი ეკისრა. ის არ ფიქრობდა თავის ავთომყოფობაზე, ის არ ფიქრობდა თუ მისა გატეხილი ჯანი რამდენათ აიტანდა დღევანდელ არა ლეგალურ ცხოვრების საშინელ პირობებს. მთელი მისი ზრახვები, მთელი მისი ფიქრები მიმართული იყო ორგანიზაციების გამაგრებისაკენ და ერის თავისუფლების დროშის ქვეშ ყველა სასიცოცხლო ძალების თავის მოკრისკენ. და ამ შემთხვევაში სილვას გამოცდილება, მისი დიდი რევოლიუციონური აღტყინება, მოქნილი ტაქტიკა და მთელი თავისი გატაცებით და სინდისით საქმისადმი სიყვარული, ყველა ამხანაგებისთვის და ორგანიზაციებისთვის იყო მანათობელი ჩირაღდანი, გამამხნეველები ყოქმინა ბრძოლისა. თავის გარშემო ძალების მოკრა, მათი გამოყენება, საერთო ხელმძღვანელობა, მოქმედების ხაზის ყოველმხრივად აწონვა და ორგანიზაციულ-პრაქტიკულ მუშაობაში განსაკვირვებელი კოლეგიალობა,—აი რა ახასიათებდა სილვას მუშაობას თვით ბოლშევიკურ ტერორის საშინელ ატმოსფერაშიაც კი.

ნოემბერში მუშათა დღეგაცხადის გარშემო მომხდარმა გამოსვლებმა სილვას კიდევ უფრო განუმტკიცეს იმედები და ამ ხნიდან ის ჩამოყალიბებულათ სთვლიდა საქართველოში არსებულ ძალებს. ერთ მხარეზე სდგას ქართველი ერი, ხოლო მეორე მხარეზე რუსეთიდან ძალათ შემოჭრილი ჯარებიო—ამბობდა ის.

ციხეში დასუსტებული და ავთომყოფობისაგან მოტეხილ სილვას სხეულს ესაჭიროებოდა ნორმალური მოვლა და ექიმობა. არალეგალურ პირობებში ის ამას საესებით მოკლებული იყო. ის თავის ერთ-ერთ ვაჟს ვალიას და მეუღლესაც ვერ ნახულობდა. ჩეკა გაფაციცებით ადევნებდა მათ თვლყურს და საშვალევას უსპობდა შვილს და ცოლს ავთომყოფი ენახათ, თან გააფრთხილებული რეაქცია ხშირათ ბინების გამოცვლას მოითხოვდა. მოხუცი სილვა იძულებული იყო სარდაფებიდან სარდაფებში გადაბარგებულიყო. იანვარში კი მას შესამჩნევად დაეტყო გულის სისუსტე და ბინებზე ფეხით გადასვლა უჭირდა.

5 თებერვალს მომხდარ საქ. ს.-დ. მუშ. პარ-

ტიის კონფერენციაზე, ის თავის ფეხით მოვიდა. გზაზე გული შეუწყუნდა. ამ საღამოს მისი სიტყვა იყო ბრძოლის ყოქმინა. მიუხედავად სისუსტისა, მასში ისმოდა ძველი ლომი, გაუტეხელი რევოლიუციონერი და ყველა ჭირის ამტანი მებრძოლი, რომელიც თავდავიწყებით მისიწრფის წინ, რადგანაც სწამს გამარჯვება! საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ ამ დღეს სილვას მისასალმებელ სიტყვაში სამწუხაროთ გაიგონა გამოთხოვებაც ძველი მასწავლებლისა. ამ დღიდან მას გულის ფრიალმა უშატა. დასჩემდა სურვილი ღოველ დღე ენახა ამხანაგები, მოეწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მათთან ერთად ღოფილიყო და არ განშორებოდა. ღოველ შემთხვევაში თითო-ოროლა ამხანაგებს მაინც არ იშორებდა. ჩვენთვის აშკარა შეიქნა, რომ სილვას დღეები დათვლილი იყო. ხშირათ მას მთელი ღამეები არ ეძინა და მთელი თავისი ხანგრძლივი ბრძოლის წარსულიდან მოგონებებს გვიზიარებდა. თან მარქსისტულ ლიტერატურასაც არ შორდებოდა. ის უკანასკნელ წუთებამდე შერჩა რევოლიუციონური მარქსიზმის გზას და დემოკრატიის იდეას. მას არ ესმოდა სხვა გზით ქართველი ერის განთავისუფლება და მუშათა დემოკრატიას, როგორც ყოველთვის, ერთად ერთ ძალათ სთვლიდა, რომელიც მომავალ ბრძოლაშიაც გაუწევს ქართველ ხალხს მებაირალტრობას. მთელი მისი ენერგია, მთელი მისი ორგანიზატორული ნიჭი და რევოლიუციონური სინდისი მიმართული იყო იმისკენ, რომ ერის უდიდესი ტრადედიის დროს მთელი ხალხის საციცოცხლო ძალები, განუჩევილათ მიმართულებისა, დაერაზმა ერთ ბანაკში და შეკავშირებული ძალებით შეეტია მტრისათვის. დღეს დრო და გარამოება ხელს არ გვიწყობს ვსთქვათ ყველაფერი, რაც შეიძლება ითქვას, სილვას უკანასკნელი თვეების მღვანეობაზე. ამის დროც დადგება, მაგრამ აქ უნდა ვაღიაროთ, რომ სილიბისტრო ჯიბლაძე, რომელიც ქართველი ერის თითქმის ნახევარი საუკუნის ისტორიაა, რომელმაც თიქმის სამი თაობა აღზარდა და დააფუძავა რევოლიუციონურ ბრძოლაში, მოკვდა თავის იდეალების ღრმად რწმენით, როგორც უდიდესი პატრიოტი არა მარტო სოციალ-დემოკრატიისა, არამედ მთელი ქართველი ერისა. ის ამ შემთხვევაში, შეიძლება, ყველაზე მაღალი პიროვნება იყო ერის



ქართული
ბოლშევიკი

შვილებში, რომლებმაც მუშათა კლასის და დემოკრატიის უროში წინ წარუღვა ერს და მისი სუვერენობისთვის სამშობლოს საღარჯოს მოწინავე პოზიციებზე მოკვდა. მას სხვაწაირათ არ ესმოდა ჩვენი მუშათა კლასის განვითარება და მისი მომავალი. ერის განთავისუფლება მისთვის უპირველესი საზღალება იყო ქვეყნის აყვავების და მასთან ერთად სოციალისტურ მოძრაობის აღორძინების და ამ გზით მისი ბრწყინვალე იდეალის—სოციალიზმის დაგვირგვინების.

რუსულ კომუნისმზე სიღვას უკანასკნელ წუთებამდე შერჩა თავისი ურაცვი შეხედულება. ბოლშევიზმს ის წითელ კანიან ველურობას უწოდებდა, ხოლო რუსეთის კომუნისმი ცინიზმით და დაცინვით მიჰდა მარქსიზმზე. ის ხშირათ იგონებდა მარქსის წერილს მის მეგობარ კუგელმანისადმი, სადაც მარქს ბედის ირონიათ მიჰწინა, რომ რუსი არისტოკრატები პარიჟში მას ხელით ატარებენ, ხოლო იგივე რუსებმა, რომელთაც ის თვითმცრობელობის ჯაშუშებით სთვლიდა, პირველებმა სთარგმნეს მისი «კაპიტალი». «ბოლშევიკებმა მარტო ფაქტების გადამაზინჯება კი არ იციან, არამედ ბოლშევიზმი თვით სიმაზინჯეაო» სთქვა მან, როცა გაზეთებში კითხულობდა არსენ ჯორჯიაშვილზე ბოლშევიკურ «ისტორიას» და მოსკოვის კომუნისტურ ჟურნალში მიზა ცვაკაიას წერილებს ამიერ-კავკასიის მუშათა მოძრაობაზე. უკანასკნელ დღეებში სიღვა ხშირათ იგონებდა იმ სამხედრო ორგანიზაციის ისტორიას, რომელიც მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა 1905—7 წლებში. ერთ საღამოს ჩვენთან მოვიდა ამბატრია, რამაც სიღვა ძალზე გაახარა. მას მოაგონდა ძველი ტერორისტული აქტები. მოა-

გონდა როგორ დაარბია არსენ ჯორჯიაშვილი, რომ ცუმბარის სროლის შემდეგ რევოლუერი არ ეხმარა და თვით გრიანოვის მოკვლის დღეს შორი ახლოდან როგორ ადევნებდა თვალურს აქტის შესრულებას.

10 თებერვალს მთელი ღამე არ გვიძინია, ის ოცნებობდა თავისუფალ საქართველოზე და გადახალისებულ, ახალ რიგებით გამაგრებულ სოციალ-დემოკრატიაზე.

მეორე-მესამე დღეს მას გულის ფრიალმა უმატა, სახეზე გახდა, ცოტა ნერვიულობა დაიწყო. მოინდომა ცოლ-შვილის ნახვა. 15 თებერვალს სიღვას მდგომარეობა გაუარესდა, მას გული უწუხდებოდა და სუნთქვა უძნელდებოდა. ამავე დღოს ბინის გამოცვლაც აუცილებელი შეიქნა, სიღვა ადგა და უკანასკნელი ძალები მოიკრიფა. ამან დააჩქარა მისი აგონია. მეორე დღეს ის იწვა, 16-17 თებერვალს გულის ფრიალმა იმატა და სიღვა ძალზე დასუსტდა.

17 თებერვალს 9 საათზე გულის ფრიალი სიძლიერით გაუმეორდა. მან გრძობა დაკავა და ერთი საათის შემდეგ სული დალია.

მაგრამ არც მკვდარის დატრება აღირსა მის ამხანაგებს და ცოლ-შვილს წითელ კანიანმა ველურებმა, მკვდარი სიღვაც კი საშინელება იყო მათთვის. ჩეკას აგენტების მტარვლული ხელები შეეხო წმინდა სხეულს და საქართველოს მუშათა კლასს ამით ერთი უდიდესი შეურაცყოფა კიდევ მიაცენეს. დეე ცველაფერი ეს ბოღმათ იცვეს ჩვენს გულში, ხოლო სიღვას ანდერძი იმედის ციყინათ გვესმოდეს და მისებრ თავგანწირულათ მიგვაქანებდეს გამარჯვებისკენ. სიღვას საფლავი ჩვენი გულია. მტარვალთა განკითხვის ყამის მეორე დღეს ქართველი ერი ახალ აკლდამას მიუჩნევს მის უდიდეს შვილის წმინდა ნეშტს.

საქართველო და ევროპა.


ნასუნთ ბოლშევიკებს.

გაზ. «კოპულეს დეპარის»-ში მოთავსებულია შემდეგი წერილი:

კომუნისტურმა გაზეთებმა ამ მოკლე ხანში მომათავსეს დეკლარაცია ეგრეთ წოდებული, «საქართველოს საბჭოთა ყრილობის პრეზიდიუმის» საქართველოს ეროვნულ მთავრობის და დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ, რომ-

მელნიც ქართველი ხალხის მიერ იცვენ არჩეული. ამ დეკლარაციის გამო ჩვენმა ამხანაგებმა ნ. ყორდანიამ და კ. ჩხეიძემ უპასუხეს მცირე შენიშვნით, რომლის მოკლე შინაარსი მოგვცავს ქვევით:

«რას წარმოადგენენ საქართველოს საბჭოები? საიდან წარმოიშვენ ისინი? აქვთ მათ უფლება ილაპარაკონ საქართველოს მუშების, გლეხების და ჯარისკაცების სახელით?»



ქართული
დემოკრატიული

საქართველო დაპტობილ იქნა მოსკოვის ჯვარებისაგან წარსული წლის თებერვალსა და მარტში და იქ დაწესებულ იქნა ბოლშევიკური მთავრობა, შედგენილი ზოგიერთი ქართველისგან, რომელნიც, როგორც ქვეყნის მოლაპატენი, განდევნილი იყვნენ საქართველოდან, და რომელნიც, როგორც მოსკოვის მთავრობის სამსახურში მყოფნი, რუსეთის ჯვარებს შემოეყვანნენ ჩვენს ქვეყანაში. და პირველი აქტი ამ ახალმოსული მთავრობის იყო არა მარტო დაშლა დემოკრატიული დაწესებულებების—დამფუძნებელი კრების, ადგილობრივ თვითმართველობების და სხვ. არამედ აგრეთვე მუშათა საბჭოების».

საქართველოს დღევანდელი საბჭოები, ამბობს ეს ცნობა, შექმნილია მოსკოვის ბრძანებით, მათი არჩევნები მხოლოდ ფარსი (კომედია) იყო; თავისუფლება სიტყვის, კრების, პრესის აკრძალული იყო ეგვლასთვის გარდა კომუნისტებისა. ამ არჩევნების დროს ათასობით პოლიტიკური მოღვაწეები დაქვრივდნენ იქნა, და ათასობით მუშები გადასახლდნენ უცხოეთში.

«ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა, განაგრძობს ცნობა, საქართველოში გამოუკლებლივ (სოც.-დემ., სოც.-დემ. დამ. ს.-დ., სოც.-რევ. და გაერთიან. დემ. პარტია) სასტიკი ბოიკოტით ვასცეს პასუხი იმ საზიზღრობას, და არჩევნები გადაიქცა არა საბჭოთა არჩევნებათ, არამედ მალდიდან დანიშნულ რუსის მოსამსახურეების (რადგან ქართული ჯარი უკვე არ არსებობს) და იმ უცხო ელემენტების, რომელნიც საქართველოში შემოიხიზნენ. შემდეგ ამ საბჭოებმა აირჩიეს თავის პრეზიდენტის წევრებათ, იგივე მთავრობის წევრები და აი ამ ვაჟბატონებს სურთ ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკი, რომ თავის მოძალადეობა გაამართლონ ევროპის წინაშე.

ქართველმა ხალხმა უკვე ვასცა პასუხი ამ კომედიას 11-12 თებერვალს, მათი თავდასხმის წლის თავზე, მასსიური პროტესტების მოწოდებით, საყოველთაო გაფიცვით, მიტინგებით და დემონსტრაციებით».

შემდეგ პასუხი არღვევს ბოლშევიკების მიერ წამოყენებულ ყველა ცილისწამებას: დახმარება დენიკინსადმი? მაგრამ ზომ მთელმა ქვეყანამ იცის, რომ საქართველო იბრძოდა მათ წინააღმდეგ და რომ სწორეთ დენიკინის დამარცხ-

ების შემდეგ იცნო მოსკოვმა საქართველოს დამოუკიდებლობა და დასდო მასთან სათანადო ხელშეკრულება!

საქართველომ დაარღვია 1920 წლის ხელშეკრულებანი! მაგრამ განა ბოლშევიკებმა თვითონ არ დაარღვიეს ეკონომიური ხელშეკრულება, როცა დააკაცეს საქართველოს მატარებლები, რომელთაც ნავთი მოქონდათ თანახმათ ამ ხელშეკრულებისა?

სულ ტყუილათ ცდილობს მოსკოვი გაამართლოს ეს საშინელი თავდასხმა მოქრელი ბრადლებების წამოყენებით.

ერთათ-ერთი სიბართლე, რომელიც მოიპოვება «საქართველოს საბჭოთა» დეკლარაციაში, ესაა ის, რომ საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ წამოიღო თან ნაწილი სახელმწიფო ქონების. ქვეყნის სრული გადაარცვა წითელჯვარებისაგან საეგებით ამართლებს ამ წინააზღულ ნაბიჯს.

ჩვენი ქართველი ამხანაგების ცნობა განაგრძობს გაზეთი, ასე თავდება:

«ჩვენ საყოველთაო ეაცხადებთ: მოწოდება გამოქვეყნებული «საბჭოთა პრეზიდენტის» მიერ, არის უაღრესი თალსიციაცია ქართველი მშრომელი ხალხის წებისადმი. აღნიშნული საბჭოები, შექმნილია საოკუპაციო ხელისუფლების მიერ და არა ქართველი ხალხის მონაწილეობით, არამედ მხოლოდ რუსის წითელი ჯარის, მოსამსახურეების და უცხო ელემენტების. და მისი პრეზიდენტიც შესდგება საოკუპაციო მთავრობის წევრებისა და უმადლესი მოსამსახურეებისაგან, იქვე იპოვიეთ ვერც ერთ ქართველ მუშას, ვერც ერთ ქართველ გლეხს, ვერც ერთ ქართველ ჯარისკაცს, ყველა ეს ვაჟბატონები არიან მხოლოდ მოსკოვის დაცნებული მოსამსახურენი, რომელნიც მის ბრძანებას ასრულებენ».

დას. ევროპის სოც. საქ. ს.-დ. ზარ.

უკანასკნელ კონფერენციის შესახებ.

დასავლეთ ევროპის სოციალისტები, რომლებიც 5 თებერვალს მომხდარ საქართ. სოც.-დემ. პარტიის კონფერენციის მიერ საპატიო თავმჯდომარეთ იყვნენ არჩეულნი, გამოეხმაურნენ ამ ფაქტს წერილობით. ისინი მხურვალე თანაგრძნობას გამოსთქვამენ, როგორც ქართველი ხალხისადმი, ისე თვით სოც.-დემ. პარტიისადმი.

მოგვყავს მათი წერილებიდან ზოგიერთი აღ- გილები:

. . . გამაღობთ ჩემდამი აღმოჩენილ ნდო- ბისათვის. ვიმედოვნებ, რომ არ არის ის დრო შორს, როცა საქარ. სოც.-დემოკრატია თავი- სუფლათ შესძლებს თავის კრილობებისა და კონფერენციების მოწვევას და აღარ შეეშინ- დება დესპოტების, როგორ სახელსაც არ უნდა ატარებდნენ ისინი.

თქვენი ერთგული ტომ შოუ.

იმედი მაქვს, რომ მოახლოვებულია უამი, როცა ბრწყინვალე ბრძოლა ქართველი ხალხის დემოკრატიისა და თავისუფლების საქმისათვის, გამარჯვებით დაგვირგვინდება და მე ისევ მო- მცემა შეძლება შევხედე საქართველოში თავი- სუფალ ქართველებს. მე შემიძლია დავარწმუნო ქართველი ამხანაგები, რომ ინგლისის მუშათა მოძრაობა, ძლიერ მცირედი გამოწვევისთა გარ- და, მათ მხარეზეა და ზიზღით უყურებს სა- ქართველოს დამპყრობელთ და აღტაცებით შე- სტყერის ქართველი ხალხის ბრძოლას.

თქვენი გულწრფელი ერთგული რ. მაკდონალდი.

მე ძლიერ მალეღვებს ქართველი ამხანაგების ტანჯვანი და საშინელება მიპრობს, როცა წარმოვიდგენ იმ დანაშაულობებსა და ძალმომ- რეობას, რომლებიც ხდება თქვენს ქვეყანაში სოციალიზმის დროში—რუსეთის ბოლშევიკ- დიქტატორებისგან. ასეთი დესპოტიზმი და შე- ვიწროებანი მხოლოდ მილიტარისტული იმპე- რიალიზმის თვისება არის და არაფერი აქვს მას საერთო დემოკრატიულ სოციალიზმთან.

მე გავაკეთებ ცველაფერს რაც კი ძალმიძს, რომ დავებარო საქართველოს. და ქართველ ამხანაგებთან ერთად ვიმედოვნებ, რომ კაცო- ბრიობა მალე განიკურნება მსოფლიო კატას- ტროფის საშინელი მემკვიდრეობისაგან და დად- გება უფრო ბრწყინვალე დღეები.

მხურვალე საღამო ჩემ ქართველ

მეგობრებს, ეტელ სნოუდენი.

გავაკეთებ ცველაფერს რაც კი ძალმიძს, რომ ამით გავამართლო ის პატივისცემა, რომელიც თქვენ მე აღმომიჩინეთ.

თქვენი კ. გიუსმანსი.

ბელგიის მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანო «პეკლი» 23 მარტის ნომერში იუწ-

ება, რომ ვანდერველდემ, ჰიუსმანსმა და დე- ბრუკერმა მიიღეს საქართველოს ს.-დ. პარტიის «გულითადი» მისალმება, მოჰყავს ამ მისალმე- ბის ტექსტი და ბელგიის პროლეტარიატის სა- ხელით შემდეგს აცხადებს:

«ბელგიის პროლეტარიატი, რომელიც მოი- გონა საქართველოს პროლეტარიატმა დღევან- დელ, მისთვის ესოდენ ტრადიკულ პირობებში, განსაკუთრებული გრძნობით მიიღებს ასეთი პატივის დადებას. ბელგიის პროლეტარიატი სე-და ნარევი თანაგრძნობით ადევნებს თვალ- ცურს განაწამებ საქართველოს ბედს. მან მთე- ლი თავისი აღშფოთებით განაცხადა პროტესტი იმ თავდასხმის წინააღმდეგ, რომელმაც მთელი ერის თავისუფლება იმსხვერპლა. მან მთელი ქვეყნის გასაგონათ და მტკიცეთ აღიმადლა ხმა, ამ ძალადობის წინააღმდეგ მიუხედავთ მოსკო- ვის რისხვისა და მისი აგენტების მუქარისა. ის მოიმოქმედებს ცოველივს, რაც კი მისგან დამოკიდებულია, იმისათვის, რომ საქართვე- ლოს მიმართ აღდგენილ იქნეს სამართლიანობა. ის არასოდეს არ აიღებს ხელს საქართველოს საქმის დაცვაზე საზოგადოებრივ აზრის და ინ- ტერნაციონალის წინაშე».

საქართველოს საკითხი საფრანგეთის პარლამენტში.

1 აპრილს საფრანგეთის პარლამენტში მთავ- რობის თავმჯდომარემ, ბ. რეიმონ ჰუანკარემ, სხვა და სხვა შეკითხვების საპასუხოდ წარმო- ისთქვა დიდი პოლიტიკური სიტყვა, რომელ- შიაც დაწვრილებით შეეხა საფრანგეთის აწინ- დელ საგარეო პოლიტიკის სხვა და სხვა მხა- რეებს, გენუის კონფერენციას, რუსეთის სა- კითხს, ოსმალეთის პრობლემას და სხვა და სხვა დეკუტატების შეკითხვაზე, მოაგონა პარლა- მენტს, ის თურგორ იდგა საქართველოს და კავ- კასიის რესპუბლიკების საკითხი კანნის კონფე- რენციანზე, ან როგორ უყურებს დღეს საფრან- გეთის მთავრობა გენუის კონფერენციანზე სა- ქართველოს წარმომადგენლობის საკითხს.

ჩვენ მოგვყავს ოდიცალურ სტენოგრაფიულ ანგარიშიდან ჰუანკარეს სიტყვის ის ნაწილი, რომელიც საქართველოს და კავკასიის რესპუბ- ლიკებს ეხება:

«მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე—10 იან-



ვარს კანნის კონფერენციის თავმჯდომარემ ბ-ნმა ბრიანმა, განაცხადა, და ეს ბუნებრივი იყო, რომ გენუის მომავალ კონფერენციის მოწყობის საკითხში ის თავის უფლებებს უთმობს ბ. ბონომის, რადგან კონფერენცია იტალიის ტერიტორიაზე იქნა დანიშნული. მიიღო რა ბ-ნმა ბონომიმ ასეთი უფლება ბ-ნ ბრიანისაგან, როგორც უკანასკნელმა ეხლაზან განცხადა, მიმართა კონფერენციაზე მოსაწვევად სხვა და სხვა სახელმწიფოებს, რომელთა სია შედგენილი იყო მოკავშირეთა მთავრობების მიერ.

ბ. ვეტტერლე. რატომ ოსმალეთი არ იყო ამ სიაში?

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. თუ გნებავთ, მე მოგაწოდებთ დაწვრილებითი ცნობებს, მე თქვენს განკარგულებაში გახლავარ.

ოსმალეთი გამორიცხული იყო ზოგიერთი ჩვენი მოკავშირეების მოთხოვნით, ვინაიდან ისინი ფიქრობდნენ, რომ, საზოგადოთ მოწვეული უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ ევროპის სახელმწიფოები.

ბ. ანრი ლანიელ. კონსტანტინეპოლი ევროპაშია!

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. თქვენ შეგძლოთ გეპასუხნათ ჩემთვის, რომ იაპონია არ არის ევროპის სახელმწიფო...

ბ. არისტიდ ბრიანი. ოსმალეთთან ზავი არ იყო ჩამოგდებული.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.—ბ-ნი ბრიანი ჩემ მიერ მოცვანილ მოსაზრებას უმატებს მეორე მომენტს. მართლაც, სხვათა შორის, გაიხსენეს რომ ოსმალეთისა და სხვა და სხვა მოკავშირეთა შორის ზავი არ იყო ჩამოგდებული. მაგრამ პირველი მოსაზრება, რომელიც წამოაყენეს სწორედ ის იყო, რაც მე მოვიხსენიე.

როცა მე ოსმალეთი მომაგონეს, მე გამახსენდა სხვა კითხვებიც, რომელსაც, როგორც წინასწარ გაფრთხილებული ვარ, ეხლა მე დამისვამენ და რომლებიც ეხებიან არა მარტო ოსმალეთს, არამედ კავკასიის სახელმწიფოებს. მე უკვე დამიჯენეს მათ შესახებ კითხვა გუშინდელ სხდომაზე. ზოგიერთმა ჩვენმა მოკავშირეებმა იგივე პასუხი გასცეს კავკასიის სახელმწიფოების მოწვევის საკითხს. მათსთქვებს: «საქმე ძლიერ გაჭიანურდება, თუ ჩვენ ევრო-

პის ფარგლებიდან გამოვედით და მძულვებულნი გავხდებით მთელი ქვეყანა მოვიწვიოთო.»

მაშასადამე, კანნაში მიღებულ იქმნა დადგენილება—მე აქ მიხდა მხოლოდ მოგაგონოთ წარსულ ფაქტები, ეს არის რეტროსპექტიული მიმოხილვა, ამ შემთხვევაში ჩვენ უკვე მიღებულ გადაწყვეტილების წინაშე ვდგევართ, რომ არც ოსმალეთი, არც კავკასიის სახელმწიფოები არ ყოფილი ვენ მოწვეული.

ბ. ჰერიო. რაც შეეხება კავკასიას—ეს შეცდომაა, რადგან ის ევროპის ნაწილს შეადგენს.

ბ. ჟან ჰენნესი. კონსტანტინეპოლიც.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. საკითხი იმის შესახებ—ევროპაში თუ აზიაში უნდა ჩავთვალოთ კავკასიონის სამხრეთით მდებარე სახელმწიფოები, ძლიერ რთული საკითხია. მე ამ საკითხს ვერ გადავწყვეტ. მე მოგახსენებთ მხოლოდ იმას, რაც იყო თქმული.

დაეუბატებ, რომ სადრანგეთის მთავრობამ მაშინ უპასუხა—მე მგონია არ ვცდები ამ შემთხვევაში—რომ ჩვენ იურიდიულათ ვიცანით საქართველოს სახელმწიფო და მოითხოვა, რომ ის მაინც ყოფილიყო წარმოდგენილი გენუაში.

ბ. არისტიდ ბრიანი. დიახ, აგრეთა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. და საქართველოს რესპუბლიკის შესახებაც იგივე მოსაზრება მოიცვანეს, როგორც კავკასიის დანარჩენ სახელმწიფოების შესახებ.

ბ. ერნესტ უტრეი. იყო თუ არა აგრეთვე შეთანხმება იმის შესახებ, რომ კავკასიის საკითხი არ იქნებოდა წამოცენეული გენუის კონფერენციაზე?

ეს მეტათ საყურადღებო პუნქტია და თქვენც უნდა გესმოდესთ ჩემი კითხვის მნიშვნელობა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. მე ამასწინათაც მოვისმინე ეს თქვენი ფორმულა რეპლიკის სახით, მე მგონია რომ ის გადამეტებულია; ნათქვამი იყო მხოლოდ, რომ არ მოიწვევდნენ კავკასიის სახელმწიფოებს.

ბ-ნ ბრიანს უპასუხეს—თუ მე ვცდები, ბ. ბრიანი და ბ. ლუშერი გამისწორებენ...

ბ. არისტიდ ბრიანი. არა, ეს სწორია.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.—...უპასუხეს, რომ, თუმცა საქართველო იურიდიულათ ცნობილია, მაგრამ მას ისევე უნდა მოგვპტრათ, როგორც კავკასიის სხვა სახელმწიფოებს და ვერ მოვიწვევთ კონფერენციაზეო.

ბ. აჩისტიდ ბრიანი. სწორია.

ბ-ნი ლუშერი. სრულიად სწორია.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. სწორეთ ამის შემდეგ, სოვეტებმა წაწოაცენეს პრეტენზია თვით რუსეთის დელეგატების სიისათვის მიემატებიათ კავკასის სახელმწიფოთა წარმომადგენლები იმ საბუთით, რომ მათ ძალის საშუალებით უპკრიათ კავკასიის სახელმწიფოები.

თავისთავად ცხადია, რომ რადგან იურიდიულათ ცნობილ საქართველოს არ მიეცა შეძლება გენუის კონფერენციაზე დასწრების, ჩვენ უფრო მეტი საბუთი გვაქვს ჩავთვალოთ,—და ეს ჩვენ მტკიცეთ განვაცხადეთ,—რომ რუსეთს არა აქვს უფლება თვით იყოს წარმომადგენლები გენუის კონფერენციაზე იმ სახელმწიფოების, რომელთაც ის შეესია და რომელთაც ის პყრობს ძალმომრეობის საშვალეებით (აპლოდისმენტები ცენტრში, პარჯვნით და მრავალ სკამებზე მარცხნით).

საუ. სენატ. საქარ. განთ. შესახებ.

საფრანგეთის სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ საქართველოს საკითხის შესახებ შენდები რეზოლიუცია გამოიტანა:

- 1) ამიერ-კავკასიის ევაკუაცია უნდა იქნეს მოლაპარაკების დაწყების პირველ და მთავარ პირობათ საფრანგეთისა და მის მოკავშირეთა შორის ერთის მხრით და საბჭ. რუსეთისა და ანგორას შორის მეორეს მხრით.
- 2) როდესაც მოწვეული იქნება კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხის შესახებ, იქ აუცილებლათ უნდა იქნეს განხილული საქართველოსა და ამიერ-კავკასიის კითხვაც.
- 3) კონფერენციაზე უნდა იქნეს მოწვეული საბ. რუსეთისა და ანგორის წერმომადგენლებთან თანასწორი უფლებით ევროპის მიერ კანონიერ მთავრობათ ცნობილი ყორდანის მთავრობის წარმომადგენლნი.

ასეთივე რეზოლიუცია მიიღო დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიამაც. ორივე რეზოლიუცია გადაეცა მთავრობის თავმჯდომარეს პუნქტარეს.

შეკითხვა პოლონეთის სეიმისთვის

31 მარტს პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ შეიტანა კოლ. სეიმის სხდომაზე სასწრაფო შეკითხვა იმის შესახებ—დაიცავს თუ არა პოლონეთის მთავრობა გენუაში, რომ საქართველო განთავისუფლებული იქნეს ბოლშევიკების უღლიდან? შეკითხვაში სხვათა შორის ნათქვამია შემდეგი: პოლონეთმა საქართველოს რესპუბლიკა იცნო «დე იურეთ» 1921 წლის იანვარში. ორი თვის შემდეგ კი, როცა ბოლშევიკების ჯარებმა დაიბრეს საქართველო, პოლონეთის წარმომადგენელმა ბალტიის სახელმწიფოთა კრებაზე რიგაში, განაცხადა პრეტესტი ამ ძალმომრეობის წინააღმდეგ.

შემდეგ შეკითხვის ავტორები მოითხოვენ სეიმისაგან, რომ მან დაავალოს მთავრობას, რათა ამ უკანასკნელმა აღძრას საკითხი საქართველოს შესახებ გენუის კონფერენციაზე და მიიღოს ყოველი ღონე, რომ იგი გადაჭრილი იქნეს მშვიდობიანი გზით და ქართველ ხალხს დაუბრუნდეს თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

სეიმმა შეკითხვა მიიღო და დაავალა მთავრობას საქართველოს საკითხის გენუის კონფერენციაზე დასმა.

„შურნალ დე შენვ“-ის წერილი.

გაზეთი დიქრობს, რომ რუსეთის მოწვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიტანს დანებით შედეგს საერთაშორისო ზავის დამკარებისათვის, თუ ის პატრიისციმით მოეპყრობა სხვის თავისუფლებას, ხელს აიღებს სხვა ერთა მიმართ ძალმომრეობაზე. საჭიროა, რომ რუსეთმა საქვეწნოთ მოგვეცეს ამის დამამტკიცებელი საბუთები. გაზეთს მოჰყავს საქართველოს მაგალითი: «ჩვენ გხედავთ სხვათა შორის დემოკრატიულ სახელმწიფოს, საქართველოს რესპუბლიკას, რომელიც დაიმონავს მოსკოვის «სოვეტებმა», ისე როგორც დაიმონავა ის ერთ დროს პეტროგრაღის ცარიზმმა; საქართველო განმეორებით გახდა იმპერიალისტურ პოლიტიკის მსხვერპლი. ტროცკის ბრძანებით ჯარებმა დაიპყრეს ტერიტორია, რომელსაც სწეურია დამოუკიდებლობა და რომელსაც ეწიზლება მისთვის ძალით მოხვეული კომუნიზმი. რა გასაკვირია, რომ იმ ქვეყნებს, რომელთაც წინადადებას აძლევენ განახლონ ურთიერთობა რუსეთთან, ძლიერ ადიქრებს მოსკოვის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარების აბუჩად ადგება».

სამი ინტერნაციონალის კონფერენცია.



ამა წლის იანვარში «სოციალისტურ პარტიების ვენის გაერთიანებამ» (ე. წ. 2^{1/2} ინტერნაციონალმა) მიმართა ყველა მიმართულების სოციალისტურ პარტიებს წინადადებით— მოწვეულ ყოფილიყო საერთო კონფერენცია, რომელიც განსაზღვრულ მიზნებს დაისახავდა: რვა საათის სამუშაო დღის და მუშათა კლასის სხვა მიღწევათა დაცვა; საერთო თავდაცვითი ფრონტის გამართვა კაპიტალისტურ მთავრობათა იმპერიალისტური და მილიტარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ფრანკფურტის კონფერენციაზე (ა. წ. თებერვალი), საცა წარმოდგენილი იყო მე-2 და 2^{1/2} ინტერნაციონალები, გადაწყდა, რომ აპრილის დამდეგს შეხვედროდენ ერთმანეთს ბერლინში სამივე ინტერნაციონალის ეკზეკუტივების (აღმასრ. კომიტეტის) წარმომადგენლები საერთო კონფერენციის მოწყობაზე მოსალაპარაკებლათ. ამ დადგენილებისამებრ 2 აპრილს 12 საათზე ბერლინში, რეიხსტაგის შენობაში, გაიხსნა სამივე ეკზეკუტივის წარმომადგენელთა კონფერენცია.

დელეგატები.

დელეგაციების შემადგენლობა იყო შემდეგი: მე-2 ინტერნაციონალისაგან: ბელგია—ვანდერველდე და პიუსმანსი, ინგლისი—მაკდონალდი, უელსი, გოესლინგი, გერმანია—ველსი, ჰოლანდია—ვლიგენი, დანია—სტაუნინგი, შვეცია—მოლერი, საქართველო—წერეთელი.

ვენის (2 ნახ.) ინტერნაციონალისაგან: ავსტრია—ფრიდრიხ ადლერი, ოტო ბაუერი; საფრანგეთი—ლონგე, პოლ ფორი; გერმანია—კრიუსპინი; შვეიცარია—გრიმი, ჩეხოსლოვაკიის გერმანულ პარტიისაგან—ჩერმაკი; რუსეთის მენშევიკებიდან—მარტოვი, დანი.

მე-3 ინტერნაც.: რუსეთი—რადეკი, ბუხარინი; გერმანია—კლარა ცეტკინი; საფრანგეთი—ფროსარი, როსპერსი; პოლონეთი—ვარსკი; იუგოსლავია—სტოიანოვიჩი, ჩეხოსლოვაკია—შმერალი, იაპონია—კატაიამა.

ამას გარდა, იტალიისაგან, რომელიც არც ერთ საერთაშორისო შეჯგუფებაში არ შედის, დაესწრნ კონფერენციას სერატი და ბარატონა.

კონფერენციის გახსნა.

პრეზიდენტში არჩეულ იქნენ ფრიდრიხ ადლერი, პოლ ფორი და კლარა ცეტკინი.

პრეზიდენტის არჩევის შემდეგ სიტყვა აიღო ფრიდრიხ ადლერმა:

«ვენის საერთაშორისო გაერთიანება—სიტყვა ადლერმა, ფიქრობს, რომ დადგა დრო, როცა ჩვენ უნდა ვსცადოთ პროლეტარიატის გაერთიანება არსებით კითხვებში. ჩვენი მიზანი უნდა იყოს არა ჩვენ შორის არსებულ წინააღმდეგობათა შერბილება და გადაუჩეჩება, არამედ მათი შეგნება-შესწავლა, და აქედან აღიარება იმის, რომ აუცილებელია მსოფლიო პროლეტარიატის ძალების გაერთიანება შესაძლებლობის ფარგლებში. საერთაშორისო კაპიტალიზმი იკრიბება გენუის კონფერენციაზე; მართალია, ძალიან საეჭვოა, რომ მათ საერთო ენა გამოინახონ, მაგრამ, თუ მათ იქ რასმეს მიაღწიეს, ეს იქნება მუშათა კლასისათვის ახალი ტვირთის დაკისრება. ამის საწინააღმდეგოთ გვინდა ვსცადოთ წინასწარი პირობების შექმნა მუშათა კლასის საერთო მოქმედებისათვის და შეთანხმება გამოსვლების ღონისძიებებისა, დროსა და საშვალების შესახებ. ჩვენ გვთქვავს ერთმანეთს შორის განსხვავებული შეხედულება ისტორიულ პერსპექტივებზე და განსხვავებული დაფასება იმ საკითხის, თუ რა გზით უნდა მოხდეს მთელი კაცობრიობის გაერთიანება ერთს ინტერნაციონალში. თუ ჩვენ თანახმა ვართ ვიბრძოლოთ პროლეტარიატის მიზნებისათვის, მაშინ უნდა ვიმსჯელოთ ჩვენს გამოთხვეულ პრობლემებზე და დაბრკოლებებზე, გავიმსჯელოთ საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე პასუხისმგებლობის გრძობით, რომ ეს კონფერენცია საკეთილდღეოდ შედეგებით დავაბოლოოვოთ.»

მესამე ინტერნაციონალის განცხადება.

კლარა ცეტკინი (კომუნისტურ ინტერნაციონალის ეკზეკუტივის სახელით) აკეთებს განცხადებას, რომელშიაც ხსნის გათიშვის მიზეზებს კომუნისტური თვალსაზრისით და შემდეგ განაგრძობს: «ბურჟუაზიამ იცის, რომ ის თვით რეპარაციების საშუალებით, რომელიც გერმანიის მუშათა კლასს აწვება ტვირთად, და

F 11814





რუსეთის ხალხის გაყვლიდით, რომელიც საბჭოთა რუსეთის ეკონომიური დამორჩილებით უნდა მოხდეს, ვერ შესძლებს ომის ხარჯების დაფარვას; ამიტომ ის მთელს ქვეყანაში გადაღის შეტევას მუშათა კლასის წინააღმდეგ. ესაა მუშათა კლასი ან უნდა გაერთიანდეს დამარცხებულ ქვეყნების, საბჭოთა რუსეთის და კოლონიების უმუშევრათ დარჩენილთა დასაცველათ მან ან უნდა გამართოს ბრძოლა ვერსალის ზავის მოსასპობად, საბჭოთა რუსეთის ცნობის და აღდგენის სასარგებლოდ, ან და ის გადაიხდის ზავის ხარჯებს, ისე როგორც მას ომის მსხვერპლი გააღებინეს. ამიტომ იცო, რომ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა პროლეტარიატის გაერთიანებული ფრონტის ლოზუნგი წამოაყენა და მიესალმა ვენის ინტერნაციონალის ინიციატივას საერთაშორისო მუშათა კონგრესის მიწვევისათვის». ცეტკინა წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნას ყველა პროფესიონალური ორგანიზაციები, სახელდობრ ამსტერდამის და წითელი პროფესიონ. კავშ. ინტერნაციონალები, პროფესიონ. ინტერნაციონალების გარეშე მდგომი ამერიკული ორგანიზაციები, და აგრეთვე სინდიკალისტური და ანარქისტული ორგანიზაციებიც.—ის თავის განცხადებას შემდეგი სიტყვებით ათავებს: «გენუის კონფერენციის დროს მუშათა კლასმა უნდა აღიმაღლოს ხმა და შეეცადოს აიძილოს კონფერენცია წამოაყენოს მუშათა საკითხი, უმუშევრობის და რვა საათის სამუშაო დღის საკითხები. კომუნისტური ინტერნაციონალი მზაა მხარი დაუჭიროს საერთაშორისო პროლეტარიატის საერთო ბრძოლას. ის წინადადებას იძლევა საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე დაისვას შემდეგი კითხვები: 1) კაპიტალისტური შეტევის მოგერიება; 2) ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ; 3) ახალი იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ საბრძოლველად მზადება; 4) საბჭოთა რუსეთის აღდგენისათვის დახმარება; 5) ვერსალის ხელშეკრულება და განადგურებული მხარეების აღდგენა.»

ვანდერველდეს გამოსვლა.

კლარა ცეტკინის განცხადების შემდეგ, ნაშუადღევს სხდომაზე, სიტყვა აიღო მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელმა, ემილ ვანდერველდემ. მისი სიტყვა, დამსწრეთა ცნობით,

წარმომადგენდა მომენტს კონფერენციისას. მთელი დარბაზი მას სულგანაბული უსმენდა, როგორც მისი მეგობრები, აგრეთვე მოწინააღმდეგეებიც. იცო ულამაზესი ფორმით და ღრმა, პალოსით აღსავსე შინაარსის, გაზეთების მოწმობით, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სიტყვის იმ ადგილმა სადა ის საქართველოზე ლაპარაკობდა. «და ეს არც უნდა გაგვიკვირდესო» ამბობს ამსტერდამის გაზეთი: «მან (ვანდერველდემ) ნახა საქართველო, სანამ ის წითელმა არმიამ დაიპყრო და განადგურა: მან ნახა იქ სოციალისტური ხალხი, წითელი დროშის ირგვლივ თავმოყრილი.» საუბედუროთ ჩვენ ხელთ არა გვაქვს ამ სიტყვის სტენოგრაფია და იძულებული ვართ მკითხველს გაზეთებიდან ამოღებული მოკლე ანგარიში მივაწოდოთ.

ვანდერველდე (მეორე ინტერნაციონალის ეკზეკუტივის სახელით): მესამე ინტერნაციონალის განცხადება რეპარაციების და ვერსალის ხელშეკრულების შესახებ გაახარებს შტინესს; სამაგიეროთ ის მიუღებელია საფრანგეთის და ბელგიის მუშებისათვის. ნახევარ ვეროპაში დღეს რეაქცია მძვინვარებს. მილიტარისტებს, რომელნიც მსოფლიო ომის კატასტროფის ატორი იყვნენ, სურთ ახალი კატასტროფების გამოწვევა. მაგრამ, შედარებითი შეთანხმებას რომც მიაღწიონ კაპიტალისტებმა ურთიერთი შორის, ჩვენთვის ესეც ერთნაირი საფრთხე იქნება. ან ახალი ომის მორევში გვისვრის ჩვენ კაპიტალიზმი, ან ის გაერთიანდება კონსორციუმის სახით, რომ უკეთ გაგლიფოს ქვეყანა, უწინარეს ცოვლისა რუსეთი. ერთიც და მეორეც ჩვენთვის საშიშია. უდაოა, რომ კაპიტალისტები ცდილობენ გაერთიანებას ცველაზე უფრო ძლიერი და ცინიკური კაპიტალიზმის, ამერიკის კაპიტალიზმის ხელმძღვანელობით. ამიტომ საჭიროა მათ წინააღმდეგ სოციალისტური ძალების გაერთიანება. აი რატომ დავეთანხმეთ ჩვენ ჩვენს მეგობრებს ვენის ინტერნაციონალიდან, რომ საჭიროა მთელი ქვეყნის პროლეტარიატის გაერთიანება.

მეორე ინტერნაციონალს პროცეპიალურად არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ მოწვეულ იქნას საერთო კონფერენცია, მაგრამ საერთო მოქმედებისათვის აუცილებელია ერთნაირი ნდობა ერთმანეთის. კონფერენცია რომ ჩვე-



ნი გათიშვის დემონსტრაცია გამოდგეს, ამით კიდევ უფრო შესუსტდება პროლეტარიატის საერთო მოქმედების უნარი. თუ კონფერენცია გადაიქცა ბრძოლის ველათ, საცა შეეცდებიან აწარმოონ მანევრები ერთერთი ინტერნაციონალის წინააღმდეგ, ის ვერავითარ სარგებლობას ვერ მოიტანს. კომუნისტურ ინტერნაციონალის ეკზეკუტივის ერთ-ერთ პროკოლში ნათქვამია: გაერთიანებულ ფრონტზე იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ მეორე ინტერნაციონალის წინააღმდეგ უკეთ შევძლოთ ბრძოლა. და ჩვენ უნდა მოვიტხოვოთ გარანტიები მოსკოვის მხრით ახალი გამოიშავი ცდის წინააღმდეგ.

უნდა შეწყდეს ჩვენს ორგანიზაციებში კოინაჩიკების შექმნის ცდა, რომლის ერთადერთი მიზანია ჩვენი დასუსტება.

როცა ჩვენ პროლეტარიატის საერთო თავდაცვითს ფრონტზე ვილაპარაკებთ, წამოდგებიან ქართველი ამხანაგები და მოითხოვენ მათ დაცვას ბოლშევიკურ იმპერიალიზმისაგან. აქვე დგება საკითხი პოლიტიკურ ტუსალების შესახებ. მისცემენ თუ არა ბოლშევიკები ნებას რომ საერთო სოციალისტურ კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღონ აგრეთვე იმ სოციალისტებმა, რომლებიც დღეს რუსეთის ციხეებში სხედან? თუ ბოლშევიკები განაგრძობენ ძველ მოქმედებას, მაშინ ჩვენთვის შესაძლებელი იქნება მხოლოდ ბრძოლა სრულიად ელემენტარულ უფლებებისთვის; მაშინ ისინი შეუძლებლად გახდებიან საერთო კონფერენციას. ჩვენ მოვიტხოვოთ, რომ რუსეთის სოციალ-რევოლუციონერების პროცესი გამართული იყოს ყოველივე გარანტიების დაცვით. ჩვენ არ შეგვიძლია მოლაპარაკების გამართვა ჩვენი მეგობრების ჯალათებთან. ჩვენ არ წავაღთ საერთო სოციალისტურ კონგრესზე, თუ ის ჩვენი ამხანაგები, რომელთანაც ერთად ჩვენ ცარიზმის წინააღმდეგ ვიბრძოდით, ციხეებში იქნებიან. ჩვენ გეკითხებით თქვენ დღეს: მოდიხართ თქვენ ჩვენთან კეთილის გრძობით და ნდობით? მიანიჭებთ თუ არა თქვენ თავისუფლებას რუსეთის განაპირა სახელმწიფოების ხალხებს და უწინარეს ყოვლისა საქართველოს სოციალისტურ ხალხს? და ან რას უპირებთ პოლიტიკურ ტუსალებს?

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყოველივე დაბრკოლებების მიუხედავად, თავისუფლებისა და

მთელი ქვეყნის პროლეტარიატის სახელით, შევძლებთ გაერთიანებას.

ვენის ინტერნაციონალის განცხადება.

ვანდერველდეს შემდეგ აკეთებს განცხადებას ვენის ინტერნაციონალის სახელით ჰოლ ფორი.

« . . . საერთაშორისო სოციალისტურ პარტიების ვენის გაერთიანება მიესალმება ახლათ შემდგარ კონფერენციას იმ იმედით, რომ ის წარმოადგენს პირველ ნაბიჯს ყველა პროლეტარულ პარტიების საერთო ფრონტის გაერთიანებისა კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ის მზათაა ყოველივე ძალღონით ხელი შეუწყოს ამ მიზნის განხორციელებას და თავის მოვალეობათ სთვლის კატეგორიულათ განაცხადოს, რომ ნამდვილი გაერთიანებული პროლეტარული ფრონტის შექმნა, როგორსაც მოითხოვს პროლეტარიატის რევოლუციური კლასიური ბძოლის ინტერესები, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ პროლეტარულ პარტიათა შორის დამოკიდებულება და ურთიერთობა წარმოებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ იდეური იარაღით და არ იქნება მოწამლული ერთი პროლეტარული პარტიის მიერ მეორეს წინააღმდეგ ბრძოლის ტერორისტული საშუალებების ხმარებით. ვენის ინტერნაციონალის ეკზეკუტივი აღნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთში კომუნისტურ პარტიის დიქტატურის გამო მშრომელი ხალხი მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს და ყოველივე საპროფესიო თავისუფლება, რომ სოციალისტურ პარტიებს სდევნიან ტერორისტული საშუალებებით, რომ ისინი მოკლებულნი არიან მოქმედების ყოველივე საშუალებას და რომ სოციალისტურ საქართველოს სამხედრო ოკუპაციის წყალობით წაერთვა თვითგამორკვევის უფლება. ვენის ინტერნაციონალს აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია მთელი პროლეტარიატის ნამდვილი გაერთიანებულ ფრონტის შესაქმნელათ, რათა სოციალისტურ პარტიებს რუსეთში მიეცეს პოლიტიკური უფლებები, რუსეთის მუშებს და გლეხებს—თავისუფლება პოლიტიკური და ეკონომიური თვითგამორკვევისა, საქართველოს მშრომელ ხალხს აღედგინოს ხელახლა თვით გამორკვევის უფლება.»

ვენის ინტერნაციონალის ეკზეკუტივის განცხადება აღნიშნავს შემდეგ, რომ სამართალში მი-



ცემულ რუსეთის ესერებისთვის სიკვდილის მისჯა მორალურად შეუღლებელს გახდიდა ამ კონფერენციაზე დაწყებულ საქმის დაბოლოებას, მიუთითებს შემდეგ, რომ «მრავალ კაპიტალისტურ ქვეყნებში, იქაც კი, საცა მემარჯვენე სოციალისტური პარტიები მონაწილეობას იღებენ მთავრობაში, მემარცხენე სოციალისტები და კომუნისტური პარტიები სასტიკ დევნას განიცდიან,» აღნიშნავს აგრეთვე, რომ ამ სახელმწიფოებში ხალხთა თვით გამორკვევის უფლებაც იყო დარღვეული და მოითხოვს, რომ სოციალისტური პარტიები მთელი ძალდონით გამოესარჩლონ აწრთა თავისუფლებას როგორც კომუნისტურ, ისე ყველა მუშათა პარტიებისათვის და აგრეთვე ციხეში მჯდომ მებრძოლთა განთავისუფლებას. ვენის ინტერნაციონალის ექვშეკუტივი გამოთქვამს რწმენას, რომ პროლეტარიატის კლასიური ბრძოლის აუცილებელი საჭიროებანი მიანიჭებენ გამარჯვებას გაერთიანებულ ფრონტის იდეას და ბოლოს აცხადებს, რომ მას არ მიაჩნია მიზანშეწონილად ამ კონფერენციაზე, რომელმაც უნდა მოამზადოს მომავალი ფართო საერთო კონფერენცია, ყველა ეს სადაო კითხვები იქნას განხილული.

კომუნისტურ ინტერნაც. გამოსვლა.

რადეკი (მესამე ინტერნაციონალის სახელით) უპასუხებს ვანდერველდს. «ჩვენ არ გვინდოდა წარსულზე ლაპარაკი. ვანდერველდემ კი ერთნაირი ჯამი გაუკეთა წარსულს და ილაპარაკა ჩვენზე ისეთი ხმით, რომ ჩვენ გავგახსენდა ძველი ვანდერველდე, ომის წინა დროიდან და თითქმის დაგვაიწვია, რომ იმ დროიდან მისი ხმა სჩანთქა წარბაზნების გრიალმა. ჩვენც შეგვიძლია ბელგიის მეფის მინისტრ ვანდერველდს რვა წლის ანგარიშის ჯამი წარუდვინოთ. ის ითხოვს ნდობას, რისთვის? იმისთვის, რომ მან ვერსალის ზავს მოაწერა ხელი? ან იმისთვის, რომ ის რუსის რეაქციის დანაშაულს აფარებდა ხელს? სად არის სამივე ინტერნაციონალებისაგან შემდგარი სასამართლო, რომელმაც კარლ ლიპკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის მკვლელები გაასამართლა? ხელები შორს რუსეთის სასამართლოებისაგან, სანამ არ გაგიბანაით ლიპკნეხტის და ლიუქსემბურგის სისპლი! მომენტის საჭიროების გულისთვის გვინდა ჩვენ ვსცადოთ თქვენთან მოლაპარაკება».

შემდეგ რადეკი გადადის საქართველოს საკითხზე, ჯერ იმეორებს ჩვეულებრივ ბოლშევიკურ «გაღმა გადავებას» იმის შესახებ, რომ მეორე ინტერნაციონალი და ინგლისელი სოციალისტები არ იბრძვიან ინგლისის იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრულ ერების გასანთავისუფლებლად. და ბოლოს აკეთებს განცხადებას, რომელიც სენსაციას ახდენს ყველა მსმენელზე და რომელიც ყველამ დააფასა, როგორც კომუნისტების ოფიციალურ წარმომადგენლის პირით აღიარებული დამარცხება მთელი იმ ტყვილის კამპანიისა, რომელსაც მთელი თავისი ძალდონით აწარმოებდა მოსკოვი ამ ერთი წლის განმავლობაში ევროპაში. ის აცხადებს, რომ მოსკოვმა სამხედრო ოკუპაცია უყო საქართველოს და ცდილობს ეს ოკუპაცია გაამართლოს. «როცა საქართველოს სოციალისტურმა რესპუბლიკამ დახოცა რუსეთის გლეხები,—ამბობს ის, თქვენ ამის წინააღმდეგ პროტესტი არ გაგიცხადებიათ. ჩვენ აშკარათ ვამბობთ, რომ ქართველ ხალხს მენშევიკურ მთავრობის ჩამოგდებაში დავეხმარეთ, რადგანაც,—ამის დამტკიცება შეგვიძლია ჩვენ დოკუმენტების საშუალებით,—მაშინდელმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა თვით განაცხადა: რომ ის მთელი ძალდონით უჭერს მხარს თეთრ-გვარდიელებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. მივანდოთ კომისიას ამ დოკუმენტის განხილვა». შემდეგ რადეკი ასეთივე ცინიზმით ლაპარაკობს დატუსაღებულ რუსეთის სოც.-რევოლიუციონერებზე და აქაც «გაღმა ედავება» ევროპის სოციალისტებს. «ვინ დახოცა 15,000 პროლეტარი გერმანიაში? სად არიან ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის და მარტის მებრძოლები? ისინი თქვენ ციხეებში იმყოფებიან. მოგვეციოთ წინადადება გაგიცვალოთ სოც.-რევოლიუციონერები იმ პროლეტარებზე, რომლებიც თქვენს ციხეებში იმყოფებიან. ამისათვის ჩვენ მზათა ვართ. კონფერენცია თუ ჩაშალეთ, პასუხისმგებლობა ამისათვის თქვენ დაგატყდებათ თავს. ჩვენ მოსურნე ვართ შეთანხმების საერთო ბრძოლისათვის».

რადეკის გამოსვლამ ყველაზე უარყოფითი შთაბეჭდილება მოახდინა. ის ლაპარაკობდა განძრახ უკმეხი, ლანძღვისა და ცინიზმით აღსავსე კილოთი. მისმა უკმეხმა, წმინდა «კომუნისტურმა» თავდასხმამ ვანდერველდს პიროვნ-



ნებაზე, მისმა ცინიკურმა განცხადებამ საქართველოს ოკუპაციის შესახებ და არა ნაკლებ ცინიკურმა წინადადებამ «ტყვეების» გაცვლის შესახებ დაბადეს შთაბეჭდილება, რომ კონფერენციიდან არაფერი გამოვა, რომ კომუნისტები სადემონსტრაციოთ მოვიდნ და არა შეთანხმების საშუალებათა გამოსაძებნათ. რადეკის სიტყვის შემდეგ სხდომა გადაიდო მეორე დღისთვის.

კრიზისი.

3 აპრილს დილის სხდომის გახსნისას, რომელსაც ცეტკინი თავმჯდომარეობდა, მეორე ინტერნაციონალის სახელით მაკდონალდმა მოითხოვა სხდომის გადადება 3 საათისთვის, რადგან, განაცხადა მან, მესამე ინტერნ. სიტყვამ შექმნა სრულიად ახალი მდგომარეობა, რომლის გასარკვევათ დელეგატებისთვის სპეციალური სხდომაა საჭირო. მაკდონალდის წინადადება მიღებულ იქნა. დელეგატები გაეშურენ ცალკე სხდომების მოსახდენათ. 1 საათზე მესამე ინტერნაციონალის დელეგაციამ გადასცა ორ დანარჩენს წერილობითი განცხადება, საცა ნათქვამი იყო, რომ თუ დებატები ისეთივე სახით გაგრძელდა, როგორც წინა დღეს, ჩვენ ვერ დაგპირდებით, რომ საქმე წარმატებით წავიდესო. და მოითხოვედნ: მეორე და 2 ნახ. ინტერნაციონალებისაგან, მოლაპარაკების განგრძობა ყოფილიყო 2 ნახ. ინტერნაციონ. პლატფორმის საფუძველზე, რომელიც არ შეიცავენ არავითარ წინასწარ პირობებს. მთელი დღის განმავლობაში სწარმოებდა კერძო მოლაპარაკება ერთი მხრით მეორე და 2 ნახ. ინტერნაციონალების და მეორე მხრით, მესამეს დელეგატებს შორის. ამის გამო სხდომა გადაიდო მეორე დღის დილისათვის.

მესამე სხდომა.

მესამე სხდომა გაიხსნა 4 აპრილს დილით დავიანებით, რადგან კერძო მოლაპარაკებანი დილითაც გრძელდებოდა. სხდომა გახსნა კლარა ცეტკინმა, რომელმაც განაცხადა: ილაპარაკებს ჯერ მაკდონალდი, შემდეგ 2 ნახ. ინტერნ. ორატორი, იტალიელი სერატი და დებატების მსვლელობა დაგვანახებებს «საჭირო იქნება თუ არა მისი გაგრძობა».

მაკდონალდის გამოსვლა.

მაკდონალდმა წარმოთქვა დიდი სიტყვა, რომელშიაც მან ხელახლა დაასაბუთა ვანდერველდეს დებულებანი და პასუხი გასცა რადეკს. «ამ კონფერენციაზე ჩვენ მცირე იმედს ვაწყობდით. ადღერის სიტყვამ გააძლიერა ეს იმედი, რადეკის სიტყვის შემდეგ კი ის ისევ ძალიან შემცირდა. მეორე ინტერნაცი. პოზიცია საერთო კონგრესისადმი ნათელია: ჩვენ ის გავარკვევთ ფრანკფურტის კონფერენციაზე და წერილობითაც გადავეცით ვენის ინტერნაციონალს. ვანდერველდემ კიდევ ერთხელ გამოთქვა აქ ეს ჩვენი თვალსაზრისი. ჩვენ ვამბობდით: მზათა ვართ მონაწილეობა მივიღოთ საერთო კონფერენციაზე, რომელსაც განსაზღვრული მიზანი ექნება—საერთო მოქმედების მომზადება. მაგრამ სანამ ჩვენ ამ საერთო მოქმედებას შესაძლებლათ ჩავთვლიდეთ, საჭიროა წინდაწინვე ზოგიერთი კითხვების გარკვევა და ზოგიერთი პირობების ასრულება. ჩვენ გვინდა დარწმუნებული ვიცოთ, რომ საერთო მოქმედება შესაძლებელია და ეს რწმენა ჩვენ უნდა მოვიპოვოთ იმ პასუხში, რომელსაც ჩვენ მიერ დასმულ კითხვებზე მოგვცემენ. მესამე ინტერნაცი. დელეგატებმა წინდაწინვე იცოდნენ, რომ ჩვენ მათ ამ პირობებს წამოგუყენებდით. და მათ შეეძლოთ მოემზადებიათ პასუხი. მაგრამ ვინ იტყვის, რომ რადეკის სიტყვა ამ კითხვების დასაბუთებელი პასუხი იყო? კლარა ცეტკინის განცხადებამ ჩვენ დაგვანახა შერიგების შესაძლებლობა. ის ლაპარაკობდა დაახლოებით იმავე ენით, რომელსაც ჩვენ ჩვეულებრივ ვიყავით წინეთ, სოციალისტურ კონგრესებზე, ომის წინ. რადეკის სიტყვაში კი უკვე აღარაფერია ამის მსგავსი. ვანა სთქვით თქვენ რაიმე გასული წლის დეკემბრის თქვენი მანიფესტის შესახებ? გადანტეთ ჩვენი იუვეები? ჩვენ ეს მანიფესტი ისე გავიგეთ, რომ მე-3 ინტერნაციონალი გაერთიანებული ფრანტის ლოზუნგს უტყურობს მხოლოდ როგორც ტაქტიკურ ზომას ჩვენი ძალის შესასუსტებლად და თავისი ძალების გასამაგრებლად. შეიძლება აგრეთვე, როგორც საშუალებას საბჭოთა ზოგადობის გასამაგრებლად, მაგრამ არა პროლეტარიატის საერთაშორისო ძალის გასამტკიცებლად. ჩვენ კი გვინდა დამარწმუნებელი საბუთი იმის, რომ მესამე ინტერნაციონალი გაერთიანებულ



ფორტს მხოლოდ პროლეტარიატის გასაძლიერებლად გამოიყენებს. თქვენი მანიფესტი კი აშკარათ მოითხოვს მე-3 ინტერნაცი. მყოფ პარტიებისაგან მიემხრონ გაერთიანებული ფორტის ლოზუნგს, რათა ამით ხელსაყრელი პირობები შეიქმნას თქვენი გამთიშველი მიზნების განხორციელებისათვის. და ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვესვა თქვენთვის კითხვა: რისთვის ხართ მოსული აქ? იმისთვის, რომ მართლა შექმნათ გაერთიანებული ფორტი საერთო მოქმედებისათვის, თუ (სევ აპირებთ გაერთიანებულ ფორტთან ერთად «კომიაჩიკების» ტაქტიკის წარმოებას, რომ მეორე ან ვენის ინტერნაციონალი დაასუსტოთ? თუ შეგიძლიათ ბოლო მოუღოთ ამ ჩვენს უნდობლობას, რატომ არ სჩადიხართ ამას? ხოლო თუ თქვენ არ გინდათ ამის შესახებ განცხადება გააკეთოთ, მაშინ არავითარი აზრი არა აქვს ამ მოლაპარაკების განგრძობას, რადგან ის მხოლოდ უბრალო კამედიათ იქცევა. ჩვენ ძლიერ კარგათ ვავიგეთ არსება და აუცილებლობა თქვენი დიდი ტაქტიკური უკან დახვევისა რუსეთში; ვწუხვართ მხოლოდ, რომ თქვენ თვით შექმენით ისეთი მდგომარეობა, რომ იძულებული გახდით უკან დაგეზიათ. თქვენ ნამდვილი გაერთიანებული ფორტი გინდათ, თუ მხოლოდ ისეთი, რომელიც თქვენს ტაქტიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს? აი რისთვის წამოვყენეთ ჩვენ ნდობის კითხვა.

წარმოვიდგინოთ, რომ მოხდა საერთო კონფერენცია, მივიღეთ დადგენილება საერთო მოქმედებისათვის მაშინ კონფერენციის შემდეგ ვიმუშავეთ ერთად, თუ შევეცდებით ვაწვდომოთ ერთმანეთს? შეიძლება თქვენ გვიახლოვდებით და ჯიბეში კი გამზადებული გაქვთ დანა, რომ შემდეგ უფრო მოხერხებულად დაგვეკრათ ის? რისთვის მოსულხართ, ზავისთვის თუ საომრათ? ამის შესახებ რადეკს ერთი სიტყვაც არ უთქვამს და ეს სიჩუმე ჩვენთვის იმის მომასწავებელია, რომ ამაებზე მას სათქმელი არაფერი აქვს. გსურთ თუ არა ბოლოსდაბოლოს ამ კითხვაზე გარკვეული და კატეგორიული პასუხი მოგვეცეთ?

რადეკმა არც განაპირა ქვეყნების საკითხზე მოგვეცა პასუხი. ჩვენთვის უდიდესი წონა აქვს საქართველოს საკითხს. მაკდონალდი აშკარაავენს მთელს სიყალბეს ბოლშევიკების ცდისა «გალ-

მა გაედავოს» მეუშათა პარტიას და საქართველოს ოკუპაცია გაამართლოს ინგლისის პოლიტიკით ირლანდიის, ეგვიპტის და ინდოეთის მიმართ. ის ადვილად აბათილებს ბოლშევიკების სასაცილო არგუმენტს თითქოს მეორე ინტერნაციონალს იმიტომ ანტერესებდეს ასე საქართველო, რომ ინგლისის მეუშათა პარტიას აზრათ აქვს ბაქოს ნავთი ინგლისის საზღვაო სამინისტროს მიაწოდოსო. რადეკი დიდ ნერვიულობას იჩენს, როცა მაკდონალდი საქართველოზე ლაპარაკობს. სხვათა შორის ის აძლევს ორატორს ასეთ სულელურ რეპლიკას: «შეუძლია მაკდონალდს გარანტია მოგვეცეს, რომ მეორე ინტერნაციონალს არ აქვს აზრათ ხელი შეუწყოს საქართველოს დაპყრობას ინგლისის მიერ?» მაკდონალდი უპასუხებს, მე რომ იმის ეჭვი შემდიოდეს, რომ მეორე ინტერნაციონალის რომელიმე სექციას აქვს ასეთი განზრახვა, მისი სახელით არ ვილაპარაკებდიო. რადეკის კითხვაზე, შეუძლია თუ არა ორატორს გარანტია მოგვეცეს, რომ ჩერჩილიც (ინგლისის სამხედრო მინისტრი) ასე ფიქრობსო, მაკდონალდი უპასუხებს: მე მზათა ვარ ვესაუბრო როდისმე რადეკს ჩერჩილზედაც, მაგრამ ჩვენს თემასთან ჩერჩილის პოლიტიკას არავითარი კავშირი არ აქვსო.

«თუ შესაძლებლად მიგაჩნიათ მომავალში საერთო მოქმედება, — ამბობს მაკდონალდი, პირველად უნდა მოვაწესრიგოთ ის გამთიშავი გარემოება, რომელსაც განაპირა სახელმწიფოების საკითხი წარმოადგენს. ქართველ სოციალ დემოკრატებს რომც ჩაედინოს მომაკვდინებელი ცოდვები, მიუდგომელ კომისიას ხომ არ გაუჭირდება გამოარკვიოს, თუ რამდენად მართალია ეს? მეორე ინტერნაციონალისათვის არსებითი და უღაო მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ საქართველოში არსებობდა სოციალისტური მთავრობა იმ პარტიის წიალიდან გამოსული, რომელიც ჩვენს ინტერნაციონალს ეკუთვნის და რომლის წარმომადგენელი ჩვენს შორის ზის. თქვენ (ბოლშევიკებს მიმართავს) სამხედრო ძალის საშუალებით გადაადგეთ ეს მთავრობა და ეხლანდელი რეჟიმი საქართველოში მხოლოდ სამხედრო ძალის მეოხებით არსებობს. სანამ ჩვენი ამხანაგები, საქართველოს მთავრობაში მყოფნი, თავის ადგილას არ იქნებიან დაბრუნებული, სანამ არ მოიხსნება სა-



მხედრო ოკუპაცია და არ მიეცემა ქართველ ხალხს უფლება თავისუფლათ სთქვას თუ რაგვარი მთავრობა და რა გვარი წესწყობილება სურს მას,—როგორ შეგვიძლია ჩვენ რაიმე საერთო გვქონდეს თქვენთან? კითხვის მხოლოდ ასეთი გადაჭრაა ჩვენთვის მისაღები, თუ ჩვენ არ გვინდა ხელი ავიღოთ თავის-თავის პატივისცემაზე და თავის სოციალისტურ ღირსებაზე. მე განაჩენი კი არ გამომაქვს. მაგრამ თქვენ უნდა მოსპოთ ეს დაბრკოლება, რომელიც ჩვენს შორის არსებობს. და ამიტომ ჩვენ ვსარგებლობთ რადეკის მიერ ნახსენებ საშვალებით და ვამბობთ: შედგეს სამივე ინტერნაციონალის წარმომადგენელთაგან საანკეტო კომისია, რომელიც გამოიძვეს სიმართლეს. ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ, რომ გამოძიება იქნეს მიუდგომელი და პატიოსანი.

თვით ხასიათი რადეკის სიტყვისა აბრკოლებს საერთო მოქმედების შესაძლებლობას. რუსულ იმპერიალიზმს ჩვენ სწორეთ ისევე ვგმობთ, როგორც ინგლისის იმპერიალიზმს ირლანდიის, ეგვიპტის და თვით საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ თქვენგან არა მარტო სიტყვებს, არამედ საქმეს. და თუ თქვენ დღეს კაპიტალისტურ იმპერიალიზმის მეთოდებს მიმართავთ, ვერ მოგვთხოვთ, რომ ხვალ როგორც ნამდვილი სოციალიზმის წარმომადგენლები მოხვიდეთ კონფერენციაზე და ჩვენც მივიღოთ. (უკმაყოფილება ბოლშევიკებს შორის, ტაში დანარჩენ სკამებზე). მე ვიცი, რომ ვლადიმერ იმ ამხანაგების წინაშე, რომლებიც სხვა და სხვა ომის წინ დაჩაგრულ ერებს ეკუთვნიან.

დატუსაღებულ ესერების შესახებ მაკდონალდი აღშფოთებით უკუაგდებს რადეკის «ცინიკურ» წინადადებას ტყვეების გაცვლის შესახებ. «ვეროპის სოციალისტურ პარტიებს არ ყავთ მძევლები. ასეთი ვაჭრობა და ადამიანების გაცვლა-გამოცვლა სამარცხვინოა სოციალიზმისათვის. რადეკმა გაგვახსენა როზა ლიუქსენბურგის და კარლ ლიპკნეხტის მკვლელობა, მაგრამ, ერთი რომ ყველა სოციალისტი აღშფოთებულა ამ მკვლელობით, მეორეთ—რა ჩაიდინეს ლიპკნეხტმა და ლიუქსენბურგმა? ისინი ცდილობდნენ გაენთავისუფლებიათ თავისი ქვეყანა იმ რეჟიმისაგან, რომელიც მათ ტირანიათ მიაჩნდათ. ამასავც სჩადიოდნენ ესერები. თუ დაუ-

შვებელი და აღმაშფოთებელია მათი მოკვლა, რატომ უნდა იყოს დასაშვები ეს-ერების მოკვლა? მაკდონალდი თანახმაა, რომ ესერები გასასამართლოს ბოლშევიკურმა სასამართლომ ბოლშევიკურ კანონების მიხედვით. მაგრამ ის მოითხოვს გასამართლება სწარმოებდეს ისეთ პირობებში, რომ უცხოელი სოციალისტები ნდობით მოეპყრან საქმის წარმოებას. ერთი ამგვარ გარანტიათ მაკდონალდს მიაჩნია ვანდერველდეს დაშვება სასამართლოში ესერების დამცველათ.

დასასრულ მაკდონალდი კითხულობს მეორე ინტერნაციონალის სახელით შემდეგ განცხადებას:

«ჩვენ ვაცხადებთ, რომ პრინციპიალურად თანახმა ვართ მოწვეულ იქნას საერთო კონფერენცია წინასწარ განსაზღვრული მიზნით ვენეციის მიერ წარმოდგენილი პირობით და დღისწესრიგით. მაგრამ ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამ კონფერენციამდე მესამე ინტერნაციონალმა უნდა გამცნოს თავისი თანხმობა შემდეგ პირობებზე:

- 1) «კომინაჩეიკების» ტაქტიკის უარყოფა.
- 2) სამივე ეგზეკუტივებისაგან კომისიის შექმნა, რომელიც გამოიძვეს მდგომარეობას საქართველოში და მსგავს პირობებში მყოფ ქვეყნებში სოციალისტურ პარტიათა შორის შეთანხმების მიზნით.
- ჩვენ ვაყენებთ ამ წინადადებას, რადგან ჩვენ ისევ ვიმეორებთ ჩვენს დადგენილებებს, რომელშიაც მოვითხოვდით ქართველი ხალხის უფლების აღდგენას, რათა მას მიეცეს შექცევა სამხედრო ძალდატანების გარეშე გადასწყვეტოს თავისი წესწყობილების ფორმა.
- 3) პოლიტიკურ ტუსაღების განთავისუფლება; ხოლო იმ პირობისთვის, რომელთა წინააღმდეგ ბრალდებებია წამოყენებული, გასამართლების მოწოდება დაცვის უფლების უზრუნველყოფით საერთაშორისო სოციალიზმის კონტროლის ქვეშ.»

სერატის სიტყვა.

სერატი მხარს უჭერს ბოლშევიკებს და ილაშქრებს მეორე ინტერნაციონალის წინააღმდეგ. მაკდონალდის სიტყვამ მას მორალისტების კრება მოაგონა. «ჩვენი საქმეა განსაზღვრული პოლიტიკური მოქმედების მიღწევა და არა ერთმანეთის გასამართლება. შეცდომები ცველამ



ჩავიდინეთ. მსაჯულებმა მეტი, ვინემ ბრალდებულებმა. უკანასკნელები შეცდომებს რევოლიუციისათვის სჩადიდონ, პირველი კი—ბურჟუაზიისათვის. როცა ამის წარმოება იყო საჭირო მეორე ინტერნაციონალი ყოველივე საშუალებას იყენებდა: ტყუილს, ძალადობას, ტერორს. ხანდისხან რევოლიუციისაც ესაჭიროება ტყუილი. ჩვენ ვერ წავუყენებთ პირობებს ბოლშევიკებს, ეს მათ პოზიციას დაასუსტებდა რუსეთის რევოლიუციას ამ კრიტიკულ მომენტში და ბურჟუაზიას გააძლიერებდა. სერატი დარწმუნებულია, რომ ადრე თუ გვიან რუსეთში ბოლშევიკების, მენშევიკების და ესერების კოალიცია იქნება. ამიტომ უცხოეთის სოციალისტებმა არ უნდა შეუწყონ ხელი მათ შორის დამოკიდებულების გამწვავებას. სერატის აზრით რეჟიმი რუსეთში თანდათან უმჯობესდება, ლენინი გმობს ტერორს. საქართველო? სერატის აზრით, ერთა თვითგამორკვევის უფლება არ არის სოციალისტური ფორმულა. საზღვართა რიცხვი კი არ უნდა გავამრავლოთ, არამედ უნდა შევამციროთო. საანკეტო კომისია საქმეს ვერ გადაჭრის, და რატომ სწორედ საქართველოსთვის უნდა ავირჩიოთ ის და არა მაგალითად სილენიისთვის? უპირველესად უნდა შეიქმნას გაერთიანებული ფრონტი, აი ესაა წინასწარი პირობა ყველა სადაო საკითხის და მათ შორის საქართველოს საკითხის გადაჭრისო. სერატის სიტყვის შემდეგ სხდომა ნაშუადღევისათვის გადაიდო.

ოტო ბაუერი.

ნაშუადღევის სხდომაზე პირველად ლაპარაკობს ოტო ბაუერი ვენის ინტერნაციონალის სახელით:

«მე უნდა დავეთანხმო მაკდონალდს, რომ საჭიროა წინასწარ ერთგვარი მორალური შეთანხმება»... «ჩვენ, ავსტრიელები, გადაჭრილი მომხრეები ვართ ერთა თვითგამორკვევის უფლების, რადგან ჩვენ გვიხდება წარსულის ტვირთის ტარება, როცა ნემეცის ბურჟუაზია ძალით ბატონობდა ავსტრიის ხალხზე. საქართველოს საკითხში ჩვენ მეორე ინტერნაციონალთან ერთად ვართ, მით უმეტეს, რომ საქართველოზე ძალადობა მოახდინა რუსის არმიამ წითელი დროშის ქვეშ. მაგრამ ბრესლიტოვსკში, ბუჟარესტში, ვერსალში, სენეჟრმენში და რიგაშიც

ადგილი ქონდა ძალადობას ხალხთა წინააღმდეგ და ამის პასუხისმგებლობა მეორე ინტერნაციონალის პარტიებსაც ედება». «რა გაქვთ თქვენ სათქმელი—მიმართავს ბაუერი ბოლშევიკებს—მი პირობის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოს შესახებ წამოაყენეს? მე პირადათ ვეჭვობ, რომ საანკეტო კომისიამ სერიოზულ შედეგს მიაღწიოს, მაგრამ რატომ არ უნდა მიიღოთ ის თქვენ, რატომ არ უნდა მისცეთ საშუალება, რომ კომისია გაცნოს ადგილობრივ ხალხის სურვილებს და ყველა დოკუმენტებს? გაერთიანებულ ფრონტის შექმნას წინ უნდა უძღოდეს აგრეთვე რუსეთში ყველა პოლიტიკურ პარტიებისათვის სრული მოქალაქეობრივი თავისუფლების აღდგენა. მე პირადათ ვეჭვობ, რომ ესერების პროცესი შედგეს. მაგრამ თუ ის მოხდა, რატომ უნდა იყოთ თქვენ წინააღმდეგი სხვადასხვა მიმართულების სოციალისტთა კანტროლის?»

ბაუერი ფიქრობს, რომ ევროპის ბურჟუაზია ერთხელ კიდევ დაამტკიცებს გენუაში, რომ მას არ ძალუძს დანგრეული ევროპის აღდგენა. მაგრამ კაპიტალიზმისათვის დიდი გამარჯვება იქნება თუ საერთო სოციალისტური კონფერენცია ჩაიშალა. მაშ შევეუდგეთ აქედანვე პროლეტარიატის მზადებას და მივცეთ მას ბრძოლის ლოზუნგები. ამხანაგებო, მეორე ინტერნაციონალიდან! ტყუილად ნუ კითხავთ კომუნისტებს, რა უნდათ მათ! მოსკოვში ისე სწრაფად და ხშირად იცვლება კურსი, რომ მათ თვითონაც არ იციან რა უნდათ (სიცილი). და თქვენ, მესამე ინტერნაციონალის ამხანაგებო! თქვენ ხომ იცით, რა მდგომარეობაში იმყოფებით დღეს და რომ ამ მდგომარეობის შექმნაში თქვენ უღანაშაულონი არ ხართ? დამზიდებით შეგიძლიათ მიიღოთ მეორე ინტერნაციონალის პირობები და კლასის ინტერესი პარტიისაზე მალა დააყენოთ. ჩვენ ყოველ წუთს მზათა ვართ ვიშუამავლოთ თქვენს შორის შეთანხმების მისაღწევათ.

ოტო ბაუერის შემდეგ უნდა ელაპარაკნა წერეთელს. მაგრამ ამ უკანასკნელის წინადადებით ვანდერველდემ, მეორე ინტერნაციონალის სახელით, მოითხოვა, რომ ჯერ მესამე ინტერნაციონალს გავცა პასუხი დასმულ კითხვებზე და სიტყვა რადეკს მიეცა.



რადეკის პასუხი.

რადეკი ისევ იმეორებს გაზვიანებულ გაყვითლს ირლანდიის, ეგვიპტის და ინდოეთის შესახებ. რამაზე მაკდონალდი ინგლისის იმპერიალიზმის უნებლიე იარაღია. წერეთელს არა აქვს უფლება საქართველოს დამოუკიდებლობა მოითხოვოს, ვინაიდან ის თვითონ ველიკორუსიის პატრიოტი იყო კერენსკის კაბინეტში და ფრანტზე სიკვდილით დასჯა დააწესა. საქართველოს მენშევიკური მთავრობა ემარებოდა დენიკინს და თეთრებს. მან შეკრა კოალიცია გერმანიის მთავრობასთან. თავიდათვი კი ისაა, რომ ნაწილი საქირთა არა მარტო პატარა საქართველოს, არამედ დიდი რუსის ერისათვისაც.

ამაზე აბრამოვიჩი ადგილიდან იძახის: «ნავთის კომუნისმი?» და მართლაც რადეკმა, რომელიც მაკდონალდს სწამებდა რალაც კავშირს, თუმცა უნებლიეს, ნავთის ინვლისურ «როიალ კომპანიასთან», თვით უნებლიეთ წამოაღრანტალა საქართველოს და კავკასიის ოკუპაციის ნამდვილი საიდუმლოება, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს «აღმოსავლეთის ერების განთავისუფლებასთან» და «მენშევიკების მიერ დაჩაგრულ ქართველ პროლეტარიატთან».

რადეკი აცხადებს, რომ მესამე ინტერნაციონალი არავითარ პირობებს არ მიიღებს. მაგრამ, ამავე დროს, ის მზათაა შეეცადოს ზოგიერთი დაბრკოლებების თავიდან მოშორებას. ის გამოთქვამს თავის განცვიფრებას, რომ მეორე ინტერნაციონალს ასე ეშინია კომიაჩიკების პროფეს. კავშირების გათიშვის წინააღმდეგ ხომ გამოდის მესამე ინტერნაციონალი? რეფორმიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე კი ის ხელს არ აიღებს.

რადეკი თანხმაა გაიგზავნოს საანკეტო კომისია საქართველოში, მაგრამ მას უნდა, რომ მუშათა პარტიამ აიძულოს ინგლისის მთავრობა განთავისუფლოს ირლანდია, ინდოეთი და ეგვიპტე.

ის მომხრე იქნება ვანდერველდმა დაიცვას ესერები, მაგრამ ამასთან ერთად ბოლშევიკები დანიშნავენ პროკურორს, რომელიც ვანდერველდს ცოდვებს ამხელს. რადეკს უკვირს—რა კონტროლზე ლაპარაკი. საბჭოთა რუსეთი არ დაუშვებს მეორე ინტერნაციონალის პროტექტორატს.

პოლიტიკურ ტუსალების შესახებ მას სრუიად არაფერი უთქვამს.

მიუხედავით იმისა, რომ მისი მეორე სიტყვაც ძლიერ უკმეზი ტონით იყო წარმოთქმული, ყველას შთაბეჭდილება დარჩა, რომ პირვანდელი პოზიციიდან რადეკმა უკან დაიხია. მისი სიტყვის შემდეგ სხდომა გადაიდო მეორე დღისათვის.

რადეკის სიტყვით დასრულდა კონფერენციის საერთო კამათი. მეორე დღის, 5 აპრილის სხდომა, დღის 9 საათისთვის დანიშნული გადაიდო, რადგან რამდენიმე დღის განმავლობაში წარმოებდა კერძო მოლაპარაკება და შუამავლობა სხვადასხვა ინტერნაციონალის წარმომადგენელთა შორის, შესათანხმებელ ნიადაგის მოსაძებნათ. შეთანხმებული შედეგი, რომელიც მოგვა ამ მოლაპარაკებას, უნდა მიეწეროს ვენელების ენერგიულ ცდას და შუამავლობას. მეორე ინტერნაციონალს არ შეეძლო თავისი პოზიციის დათმობა: პროფესიონალ ინტერნაციონალის მთლიანობის, რუსეთის ესერების და საქართველოს ინტერესების დაცვაზე ხელის აღება. მეორე მხრით, თუმცა რადეკმა თავის უკანასკნელ სიტყვაში ბევრი ისეთი რამ აღიარა, რაზედაც ბოლშევიკები წინათ უარს ამბობდენ, მაგრამ ეს იყო არა პოზიციის შეცვლა მეორე ინტერნაციონალისადმი, არამედ ჩიხში მომწვედველ ბოლშევიკის აღიარება საბჭოთა რუსეთის მიერ ჩადენილი ძალადობის. ცოველ შემთხვევაში, კერძო მოლაპარაკებამ ცხადპეო, რომ ბოლშევიკები 47 ბრალდებულ ესერების მიმართ სიკვდილის სასჯელის გამოტანაზე ხელს იღებენ და თანხმდებიან საქართველოს საკითხისათვის კომისიის შექმნას. მაგრამ ესეც არ იყო საკმარისი, რომ მეორე ინტერნაციონალი დაუცუნებლიე საერთო სოციალისტურ კონფერენციის მოწვევას დათანხმებულყო. და რომ ბერლინის კონფერენციას ცოტაოდენი შედეგი მაინც მოყოლოდა, ორივე მხარე დათანხმდა გამოეტანათ საერთო განცხადება, რომელიც საერთო კონფერენციის მოწვევას საბოლოოთ არ სწყვეტდა. ამასთანავე ორივე მხარემ უღლება დაიტოვა საერთო რეზოლიუციისთვის საკუთარი დეკლარაციაც დაერთო, სადაც თავის პოზიციას—და მეორე ინტერნაციონალი კერძოთ, საერთო კონფერენციის მოსაწვევით საქირო წინასწარი პირობები იქნებოდა აღნუსხული.

საერთო დეკლარაციის ტექსტი, როგორც იცო შეიმუშავეს ვენელებმა და დიდი დავა-სჯის შემდეგ მიიღეს მეორე და მესამე ინტერნაციონალის დელეგაციებმა.

თითქმის დამის 12-ის ნახევარი იცო შესრულებული, როცა პლენუმი შეიკრიბა. სიტყვა აიღო ვენელების წარმომადგენელმა ფრიდრიხ ადლერმა. მან აღნიშნა რა მძიმე დაბრკოლებების გადალახვა მოუწიათ 3 ევზეკუტივების წარმომადგენლებს იმ მცირედი შედეგის მისაღწევად, რომელსაც საერთო დეკლარაცია წარმოადგენს. შემდეგ მან წაიკითხა ამ დეკლარაციის ტექსტი:

რეზოლიუცია საერთო კონფერენციის.

კონფერენციამ ერთხმად აღნიშნა, რომ მიუხედავად გაერთიანების სურვილისა დღეს-დღეობით შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ საერთო თათბირების მოწყობაზე, რომელსაც მიზნათ ექნება კონკრეტულ მიზნების მისაღწევად საერთო გამოვლენებზე შეთანხმება. ამ მიზნით სდგება საორგანიზაციო კომიტეტი 9 კაცისაგან (3 წევრი თითო ინტერნაცი.), რომელიც მოამზადებს ნიადაგს შემდეგი კონფერენციებისათვის, როგორც ისპოლკომების, ისე მათ გარეშე დარჩენილ პარტიათა მონაწილეობით. კითხვა საორგ. კომიტეტში წყდება შეთანხმებით.

საორგან. კომ. ევალემა გადადგას ნაბიჯი ამსტერდამის და წითელ პრაფ. ინტერნ. უშვალთ მოლაპარაკების მისაღწევად, რათა განხილულ იქნეს კითხვა მათი მთლიანობის აღდგენის და დაცვის როგორც ნაციონალურ, ისე ინტერნაციონალურ დარგლებში.

კონფერენციამ მიიღო ცნობათ კომ. ინტერნაცი. დელეგატთა განცხადება, რომ 47 ესერის გასამართლებას დაშვებულ იქნებიან ცველა დამცველები ბრალდებულთაგან, რომ ამ პროცესს არ მოცემა სიკვდილით დასჯა, საქმის გარჩევა საჯარო იქნება და სამივე აღმასრულ. კომ. მიეცემა საშვალემა დასწრების და საქმის გაცნობის.

საქართველოს შესახებ რეზოლიუცია ამბობს: კონფერენცია ადასტურებს სამივე ინტერნაცი. აღმ. კომიტეტების განცხადებას, რომ ისინი მზათ არიან მიიღონ და განიხილონ სხვადასხვა მიმდინარეობათაგან წარმოდგენილი მასალები

საქართველოს საკითხის შესახებ. კონფერენცია ავალებს საორგან. კომიტეტს დააგროვოს ამ მასალის დასკვნები და მოახსენოს იგი სამივე ინტერნაცი. აღმასრ. კომ. მომავალ კონფერენციას.»

კონფერენცია პრინციპალურათ ერთხმად საქიროთ სცნობს საერთო კონფერენციის მოწვევის საქიროებას, მაგრამ მხედველობაში იღებს მეორე ინტერნ. განცხადებას, რომ იგი არ უნდა იქნეს მოწვეული აპრილში ე. ი. გენუის კონფერენციის დამთავრებამდე.

კონფერენცია საქიროთ სცნობს საერთაშორისო იმპერიალისტური კაპიტალიზმის შეტევის წინააღმდეგ გაერთიანოს საერთაშორისო შეგნებულ პროლეტარიატის ნების ცოფა უშვალთ საერთაშორისო მასიური გამოსვლების მოწყობით და ამ მიზნით მოუწოდებს ცველა ქვეყნის მუშებს მძლავრი, რამდენათაც შეიძლება, გაერთიანებული მასიური დემონსტრაციების მოწყობა გენუის კონფერენციის მუშაობის განმავლობაში, სახელდობრ 20 აპრილს, და საცავს ტეხნიკური ან ორგანიზაციული მიზეზების გამო შეუძლებელია 1 მაისს:

- 1) რვა საათის სამუშაო დღისათვის!
- 2) უმუშევრობის წინააღმდეგ, რომელიც კაპიტალისტური სახელმწიფოების სარეპარაციო პოლიტიკის წყალობით უსაზღვროთ იზრდება.

პროლეტარიატის გაერთიანებულ მოქმედებისათვის კაპიტალისტურ შეტევის წინააღმდეგ. რუსეთის რევოლიუციისათვის, დამშეულ რუსეთისათვის, საბჭოთა რუსეთთან ცველა სახელმწიფოების მიერ პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენისათვის.

ამ საერთო განცხადებასთან ერთად აკეთებენ ცალკე განცხადებებს სამივე ევზეკუტივები. მოგვცავს მეორე ინტერნაციონალის და ვენელების განცხადება. რადეკის განცხადებას მკითხველი კომუნისტურ პრესაში წაიკითხავდა საესვებით.

მეორე ინტერნაციონ. განცხადება.

მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი იღებს საერთო კონფერენციის პრინციპს, რომელიც უნდა მოწვეულ იქნას, როგორც კი გამოინახება საერთო მოქმედების ნიადაგი. მაგრამ ის დარწმუნებულია, რომ თვალსაჩინო შედეგი მხოლოდ იმ შემთხვევაშია მო-



ქვეყნის წინაშე

სალოდნელი, თუ მესამე ინტერნაცი. პროდესიონალურ მოძრაობის მიმართ «კომინაჩიკების» შექმნის და გათიშვის ტაქტიკაზე ხელს აიღებს, ერთა თვითგამორკვევის უფლებას იცნობს და იქ, სადაც ძალა-უფლება მის ხელშია, მინიჭებს არა კომუნისტებსაც მოქალაქობრივ თავისუფლებას. ამიტომ მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი მოითხოვს, რომ იმ სამ პირობაზე, რომლებიც მან წამოაყენა, მესამე ინტერნაციონალმა გარკვეული წერილობითი პასუხი გასცეს.

ის თანახმაა, რომ ეს პასუხი გადაეცეს ცხრათა კომისიას (3 თვითუფლებელ ეკსპერტისაგან), რომლის მოვალეობა იქნება, განიხილოს ის, ეცადოს საერთო კონფერენციის დამატკლავებელი მიზნების მოსპობას და ამით მისი მოწვევა მოამზადოს.»

ვენის ინტერნაციონ. განცხადება.

ვენის შეერთების აღმ. კომიტეტმა მოითხოვა შეტანა საერთო რეზოლიუციაში შემდეგი მუხლის: «კონფერენცია აცხადებს, რომ ცველა პროლეტ. პარტიების მოვალეობაა მთელი ენერგიით გამოვიდნ თავ-თავის ქვეყნებში ყველა პოლიტიკურ ტუსაღთა და განსაკუთრებით კი იმათ განსათავისუფლებლათ, რომელნიც დატუსაღებულნი არიან ან გამოძიების ქვეშ იმყოფებიან აშკარა სამოქალაქო ომის დროიდან».

კომუნისტების ინტერნაციონალის დელეგაციამ ეს ადგილი არ მიიღო. რომ კონფერენციამ ამ განსხვავების გამო სრულიად უშედეგოთ არ ჩაიაროს, ვენის შეერთება იძულებულია ამ ადგილის რეზოლიუციაში შეტანაზე ხელი აიღოს და აღნიშნავს, რომ კომუნისტ. ინტერნაციონალი ისეთ მნიშვნელობას აძლევს რუსეთის ციხეებში სოციალისტების დამწყდების გაგრძელებას, მზათ იცო ამის გულისთვის ხელი აეღო იმ პროლეტარულ პოლიტიკურების განთავისუფლებისთვის ბრძოლაზე, რომელნიც კაპიტ. სახელმწ. ციხეებში იტანჯებიან.

მეორე ინტერნაციონალი სავსებით შეუერთდა ამ განცხადებას, და ის თავისათ ჩასთვალა.

ირაკლი წერეთლის განცხადება.

გინაიდან უკვე მიღწეულ შეთანხმების გამო დებატები შეწყდა, გთხოვთ პროტოკოლში შეიტანოთ შემდეგი ჩემი წერილობითი განცხადება.

რადეკის სიტყვაში ბოლშევიკებმა პროლეტარატივს საჯაროთ, რომ მათ დაარღვიეს სახვო ხელშეკრულება საქართველოსთან და ამ ქვეყანას ომის საშუალებით დაეპატრონენ. ამ ოკუპაციის საბუთად მათ მოიყვანეს ის გარემოება, რომ რუსეთს ნავთის წყაროების მიდამოების უზრუნველყოფა ესაჭიროებოდა.

იმისათვის, რომ ამათუ იმ ქვეყანამ დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება მეორე ქვეყნის ნაწარმოებით ან საწარმოო წყაროებით, არსებობს ორი გზა: ერთი იმპერიალისტური, რომელიც გამოიხატება სამხედრო ძალის ხმარებაში, და მეორე დემოკრატიული, რომელიც ცდილობს დასახული მიზანს მიადწიოს ძმური შეთანხმებით საერთო ინტერესების ნიადაგზე.

მე აღნიშნავ, რომ ბოლშევიკებმა, როგორც ეს მათ თვით განაცხადეს, აირჩიეს პირველი, იმპერიალისტური გზა და თავისი ეკონომიური მიზნების განსახორციელებლად ძალით დაიკცრეს ქვეყანა, რომელსაც სოციალისტური მთავრობა განაგებდა.

ამასთანავე კატეგორიულათ ვადასტურებ, რომ საქართველოს სოციალისტური მთავრობა მუდამ მზათ იცო, და როდესაც ის აღსდგება მუდამ მზათ იქნება, სრული ანგარიში გაუწიოს რუსეთის ეკონომიურ საჭიროებებს და რუსეთის მთავრობასთან დასდვას ყოველგვარი ხელშეკრულება, რომლებიც საჭირო იქნება რუსეთის ეკონომიურ მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფათ.

ეს ფაქტი ძლიერ კარგათ იცოდა და იცის საბჭოთა მთავრობამ და ამგვარათ საქართველოს სამხედრო ოკუპაციას, რომელიც მოხდენილ იქნა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების მიუხედავად, გასამართლებელი საბუთის უკანასკნელი ნატამალიც კი ეკარგება.

ი. წერეთელი

ბერლინი, 5 აპრილი, 1922 წ.

ამის შემდეგ წაკითხულ იქნა გერმანიის მემრავლესე სოც.-დემ. პარტ. განცხადება რადეკის სიტყვის იმ ადგილის გამო, რომელიც შეეხება რ. ლიუქსენბურგის და კ. ლიბკნეხტის მოკვლას და რომელიც ამ უკანასკნელთა სისხლის, ისე, როგორც რუსეთის სოც. სისხლს ერთიანათ კომუნისტებს ადებს თავზე.

კონფერენცია დაიხურა ნაშუალამეგს.

ჰერალდი.



კომუნისტები დაწვრილ საქართველოში.

(წერილი საქართველოდან)

რუსეთის მეფის ბიუროკრატის ჩვეულება ქონდა, როცა ამა თუ იმ მკაცრ კანონს და რეპრესიულ ზომებს შინაურ თუ გარეშე ძალის ზეგავლენით შიდა რუსეთში შეამსუბუქებდა, მაგრამ მას არ გაავრცელებდა ხოლმე ვანაპირა კუთხეებზე. აქ ველურობა კვლავ გრძელდებოდა. ასევე იქცევინა კრემლის დიქტატორებიც. სწორედ იმ დროს, როცა მოსკოვის ჯარებმა საქართველო დაიპყრო, მოსკოვში უკვე უარყვეს სამხედრო კომუნიზმი, მაგრამ ჩვენში თავიდან დაიწყო და მთელი წლის განმავლობაში სცარცვეს ქართველი ხალხი, სანამ ისიც რუსეთით არ დაამშვიეს. ეხლაც, გენუის მოლოდინში, კრემლი ზოგ დათმობაზე წავიდა: გააუქმა ჩეკა, დაარსა სასამართლოს მაგვარი ორგანო და უფლებრივი ნორმების მოჩვენება მაინც შემოიღო; ჩვენში კი, ერთი ჩეკაც საკმაოდ აღარ მიიჩნია და მეორეც დაარსა რომანოვების ოჯახის პირადი მკვლელის რუსანოვის თავმჯდომარეობით; იქ, რუსეთში, ზოგი პოლიტიკურები გაანთავისუფლეს, ზოგს საზღვარგარეთ წასვლის ნება მისცეს, აქ კი არამც თუ არ გაუშვეს, არამედ ყოველ დღე მოცავსთ ახალ-ახალი ჯგუფები რესპუბლიკის ცველა კუთხეებიდან. მარტო გურიიდან ამ დღეებში მეტეხში მოიგვანეს 97 მიწის მუშა, 89 მოიგვანეს ქუთაისის და ლეჩხუმის მაწარებიდან. მოიგვანეს ფოთიდან, შორაპნიდან, სენაკ-ზუგდიდიდან, ახალციხიდან, გორიდან, თიანეთიდან, კახეთიდან და სხვა კუთხეებიდან. თვით კომუნისტებისვე განცხადებით საქართველო დამშეულია, ხოლო მიწის მუშებს ამ თესვის დასაწყისში ციხეებში უტრიან თავს. მარტო მეტეხში დღეს 700-დე პოლიტიკური ტუსალია, რომელთა 90% სოფლის და ქალაქის მუშებია, 200-ზე მეტი კაცი აქვე თფილისის ჩეკაში ზის, 100-ზე მეტი ორთაქალის ციხეში, ხოლო რამდენია კომისარიატებში და სხვაგან, გამოუთრკვევლია. ჩამოყვანილების სიტყვით არც ერთ პროვინციის დაბა-ქალაქების ციხეებში სატეობა არ არის, ყველგან უდგილობის გამო მუშები და გლეხები ერთიმეორეზე წვანან. საერთოდ დღეს საქართველოში 4,000 კაცზე მეტი პოლიტი-

კური ტუსალი ზის ციხეში და რამდენიმე ათასი ორდერი მზათა იმათ დასაქერათ, ვინც ვადამალვა მოასწრო.

კალმით აუწერელ ამბებს მოგვითხრობენ პროვინც. მოცვანილი ტუსალები. ცველა დაბასა და სოფლებში რუსის ჯარი და ცოფილი ჯაჩალებისაგან შემდგარი ადმინისტრაციის თარეშობაა, ყველგან ეს ორი ძალა ერთი მეორეს ეჯიბრება გლეხების აწიოკებაში. დადიან სოფლად ადმინისტრატორები ცალკე და ჯარის კაცები ცალკე, შედიან გლეხების ოჯახში და ვაი მას, თუ არაფერი აღმოაჩნდა, ხოლო თუ აღმოაჩნდა და კიდევ უი, რადგან დათვრება და მერე ჩხუბს აუტეხს. დასახსიათებლად საკნათა დავასახელოთ გურულების ნაამბობი: ს. შემოქმედში ნათლიდება დღეს მოვიდა მილიციონერი მამალაძე და ჩხუბი აუტეხა თავის სახლში პარმენ გეგიაძეს; რევოლვერი გაქვს და მომეციო. პარმენმა თავი მოარიდა და სხვის ეზოში გადავიდა, მამალაძემ მას თოფი ესროლა და დასჭრა. ქალების კვილზე—მოკლაო, დაჭრილის მამა ყარამანი გამწარდა და ეცა მილიციონერს, რომელიც კარგათ მიზილა. ამის შემდეგ მილიციონერი ოსურგეთში წაიგვანეს, ხოლო მამა და შვილი გადაიმაღენ. სამაგიეროთ დაატევეს და შემდეგ დახვრიტეს მათი მეზობელი მამა-შვილი ფილიპე და იასონი (სტუდენტი) გეგიაძეები; სოფ. ლიხაურში კომუნისტმა სალუქვაძემ კერძო ჩხუბის დროს მოკლა რუსის ჯარის-კაცი და გაიქცა. სამაგიეროთ რუსის ბატალიონი მოიგვანეს სოფელში და ააწიოკეს, კონტრიბუცია დაადგეს. ამავე საქმეზე დაიჭირეს და დახვრიტეს ქართველი მუსულმანი, რომელიც იმ დროს თურმე გზათ მომავალი წინ შეეფეთა სალუქვაძეს, რომელმაც ცხენი წაართვა და რომელსაც შარი მოსდევს—ნებით მიგიცია ცხენი, რომ გაქცევა მოესწროო.

შორაპნის მაწარადან ჩამოცვანილმა დაჭერილმა ამხანაგებმა შემდეგი გადმოგვცეს.

ამ რამოდენიმე კვირის წინათ იქ გაცარცვეს სასწრაფო მატარებელი. ამის გამო დაარბიეს გარეშემო მდებარე სოფლები. ასობით მოცავდათ ციხეში ნაცემ-ნატევი დამტერეული და დასისხლიანებული გლეხები. ბოლოს ერთმა ეჭვით დაჭერილმა ახალგაზრდამ უთხრა ჩეკის გამომძიებელს, რომ მან იცის ვინც ჩაიდინა



დაცემა, მაგრამ ვერ იტყვის, რადგან მათი მე-
თაური დიდი კაციაო; გამონძიებული აღარ
მოეშვა და ახალგაზრდამაც დაასახელა ჩეკისტი
ნებიერიძე, ცოფილი ყაჩაღია. ჩეკამ მაშინვე
გაგზავნა სოფელში წასულ ნებიერიძის დასა-
ჯერად მილიციონერები და ჩეკისტები, რომელ-
თაც ნებიერიძე დაატყვევეს და იარაღ აუყრე-
ლათ წამოიგვანეს წესტაფონში, მაგრამ ის ჩე-
კაში არ მიუგვანიათ, რადგან გზაში «გაიქცა».
საქმე მაინც თანდათან გამოძედა და სხვა
მონაწილე ჩეკისტებიც დაიჭირეს. მიუხედავად
ამისა ახლო-მახლო სოფლების გლეხობა დასა-
ჯეს და ააწიოკეს.

აი ასეთი ხალხის ხელშია დღეს საქართველო,
ისინი კიდევ უფრო საშინელს ხდიან კომუნისმს
და რადგან ასეთი კომუნისმის მომხრე არავი-
ნაა, იჭერენ და ყრიან ციხეებში, სადაც დაჭე-
რილთა ტანჯვას საზღვარი არა აქვს, სადაც
მათ საქმელსაც არ აძლევენ და უმისოდაც დან-
შეულ ოჯახს უხდება ზიდვა მათთვის ლუკმა
ჭადისა.

საშინელებას მოგვითხრობენ მეტეხში მოყ-
ვანილები აგრეთვე თავის მგზავრობის შესახებ.
20-30 ვერსი და ზოგან ბევრათ მეტიც რკინის-
გზამდე ფეხით ჩამოგვიყვანეს, უკან ცხენოსანი
რუსები მოგვდედნენ მათრახებით და ვაი მას
ვინც ჩამორჩებოდა. თავისუფლათ ამოვიტყუ-
თქეთ, როცა ბოლოს რკინის-გზის სადგური
დავინახეთ, მაგრამ აქ თურმე უარესი გველო-
და: ჩაგვყარეს ბინძურ საქონლის ვაგონებში
და დაგვკეტეს, ფეხის ადგილში არ გავცავდით,
ერთი-მეორეზე ვეყარეთ და ასე ვიმგზავრეთ
ზოგმა ჯგუფმა რამდენიმე დღე და ღამე, ვი-
ნაიდან მატარებელი ძლიერ ნელა დადის.

მოიყვანეს ეს უდანაშაულო ხალხი მეტეხში,
აქ ელოდნენ სულის ამოთქმას, მაგრამ მოსტყუე-
დნენ. მაშინ, როცა რუსეთის გაზეთები სწერენ
პოლიტიკურ ტყვეთა პირობების გაუმჯობე-
სებაზე, ჩვენში კიდევ უფრო აუარესებენ. მე-
ტეხი თებერვლიდან ცნობილ ჩეკისტს ჯალათ
შუქმანს ჩააბარეს, რომელსაც ამ პოსტისა-
თვის არავითარი განათლება არა აქვს, გარდა
მაუწყარის ხმარებისა. მან მოსვლის უმაღლე
დაითხოვა აქა-იქ შერჩენილი ქართველები და
მათ შავიერ მოიყვანა უცხოელი ჩეკისტები.
ამავე დროს პლასტუნების პოლიკით შეცვალა
ციხის საგანგებო სადარაჯო რაზმი. მართალია,

ისინიც მწერალათ იცვენ ზრდილობაზე, მაგრამ
ითაც უმასპინძლებოდნენ ცველას, ვინც დან-
ჯარაზე მოადგებოდა, (ორი სისხლის სამარ-
თლის ტუსადი კიდევ მოკლეს ამ ნიადაგზე,
ხოლო ამხ. ნ. ცინცაძეს ცოტაზე აცდა ნასრო-
ლი ტყვია), მაგრამ პლასტუნები სულ აღარ
აძლევენ ტუსალებს ფანჯრის გაღების ნებას;
გაღების უმაღლე მოისმის რუსული დედის გი-
ნება და თოდის ჩხარუნი. და ასე იხრჩობა
უპავერობით 30-40 ტყვე თითო პატარა საკანში.

ჯარის-კაცებზე უარესი არიან ადმინისტრა-
ტორი—ჩეკისტები, განსაკუთრებით სიმთვრა-
ლის დროს, რაც მათში ხშირი მოვლენაა, პირ-
დაპირ პროვოკაციას ადგიან ხოლმე. და ან
რა გასაკვირია მათგან, როცა თვით უფროსმა
შულმანმა ამას წინათ ეზოდან რევოლუციონერ
სოლოლა, სრულიად გაუფრთხილებლათ, ფანჯა-
რასთან მდგომ სტუდენტებს, რევოლუციონერ-
ი სიმღერებისათვის. ბედზე სტუდენტებს
ტყვია აცდა. ამ ვაჟბატონს ძალიან ძულს სიმ-
ღერა, განსაკუთრებით ჩვენი ეროვნული ჰიმნი.
«ესლი ვი ჩესტნიე, ვისტუპაიტე აკტივნო»-ვო,
შეცვირებს ხოლმე, როცა რევოლუციონერ
სიმღერას გაიგონებს ხოლმე საკნებში. ამ ვაჟ-
ბატონის სიტყვებიდან ირკვევა, რომ რუს ხუ-
ლიგანებს ძლიერ სურთ ჩვენში შეიარაღებული
გამოსვლა, რომ საბუთი მიიღონ მთელი ხალ-
ხის გაყლტვის.

კიდევ უფრო გააუარესეს ტყვეთა კვების და
სანიტარიის საქმე. ამ დღეებში მოხუცი ისი-
ლორე რამიშვილი იყო პოლიტიკურ ტყვეთა
დავალებით შულმანთან, რომელსაც მიუთითა
მაზედ, რომ ისედაც ცუდი წვენი ამ ბოლო
დროს ნარეცხს უფრო გავს, ვიდრე ადამიანის
საქმელსო. შულმანმა უპასუხა: მეც ვიცი, რომ
არ ვარგა, მაგრამ უბედურება ეგ კი არაა,
არამედ ის, რომ ცოტა ხნის შემდეგ სულ აღარ
იქნება, სურსათი მელევა და შოვნის იმედი კი
არ მაქვსო. ტუსალებს სულს ჩაი უბრუნებდა,
მაგრამ ამ ბოლო დროს ხშირათ მდულარე
წალსაც არ აძლევენ, რადგან წალსადენი
მოშლილია და წყლის საწილი ბოჭკები კი არ
აქვთ. მართალია, მტკვარი აქვე ციხის ძირში
ჩამოდის და მისი ამოტანა თვითონვე შეუძლია
ტყვეებს, მაგრამ არ უშეგებენ, დარაჯები არ
გვყოფნის გასაღობებლათო; ან კი საიდან ელო-
ფათ, როცა ცველა ქალაქებსა და სოფლებში

გარნიზონები ჭირდებოდა, გურიაში და კახეთში ეგზეკუციები, სვანეთში ექსპედიცია და აღარ ეყოთ რუსის ჯარი, — ტროცკი ყველა კორპუსებს ხომ აქ ვერ გამოგზავნის!

ჩეკის მუშაობა ამით არ თავდება, ის კვლავ ძველებურათ განაგრძობს ხვრეტასაც. თვით თებერვლის რევოლუციის 5 წლის თავი თფილისში დზერჟინსკის ნოქრებმა 29 კაცის დახვრეტით აღნიშნეს. საშინელება იყო ეს დღე (12 მარტი) მეტეხის ციხეში და შემდეგ გრუზჩეკაში. ამ დღეს შულმანი მეტეხში რაღაც სხვაფერ მორთული მოვიდა. მას ვიწრო კურტკაზე მაუზნერთან დამხმარე რევოლუციონერები ჰყარდა. ძველმა ტუსადებმა მაშინვე სთქვეს: დღეს ხვრეტა იქნებაო. მართლაც 12 საათზე ციხეში მოვიდა ყაზახთა რაზმი და შულმანმაც გამოუძახა 16 კაცი, შემოარტყა გარს ხმალოდებული ცხენოსნები და გაუძღვა ჩეკისაკენ. შემდეგ ჩეკიდან მოცვანილებმა გვიამბეს, რომ იქ კიდევ 13 მოუმატეს და იმ ღამესვე 29 კაცი დახვრიტესო.

მთელი ღამე ჯოჯოხეთში გავატარეთ, მოგვიტხოვრებდნენ მოსულები, 11 საათზე დაიწყო გაყვანა. გაყვდათ ნაწილ-ნაწილ, დარწმუნებით არაფერ იცოდა ვის წაიყვანდნენ და ვინ დარჩებოდა. ისმოდა ღმუღი, ყვირილი, ბრაზუნა, გინება... მხოლოდ გამთენიას დაწყნარდა ჩეკის სარდაფი და გადარჩენილებმა დაიძინეს. ერთ საკანში ამ დროს დაბრუნდა შულმანი და დადებულ ტუსადებს კითხა: ვის დაუტოვა სურგულაძემ ნაბადიო; ტუსადებმა საქართო მხარითვეს ნაბადი, რომელიც სურგულაძემ (ჩვენს ყოფილი კომისარი) მართლა მიუგდო დარჩენილებს გაგვანის დროს სიტყვებით—ძალღების მაგივრათ კაცებმა მოიხმაროსო, მაგრამ ჩეკისტები წინდაწინ ათვლიერებენ და ჩუმათ სწავლობენ, თუ რა აქვს ტანზე ან ბარგათ მათ მსხვერპლს...

დახვრეტილთა უმრავლესობა მთმინებიდან გამოსული გლეხები იყო, რომლებიც ეგზეკუციების მეთაურებს და ადმინისტრატორებს დასცემიან თავზე, სოფელში უმსგავსოების ჩადენის გამო, როგორც მაგალ. ძმები ჯაფარიძეები, ახალციხელი ქართველი მუსულმანები და ლადო შაიშმელაშვილი, ღვთისო თავდგირიძე და სხვები. ჩეკა კი ყველას ბანდიტებათ ნათლავს.

ასეთივე სურათია საქართველოს დანარჩენ ქალაქებში და სოფლებში.

შემთხვევით განთავისუფლებული.

მარტი 1922 წ. თფილისი.

საქართველო-ს ამბები.

სვანეთის ვარშემო.

როგორც ვწერდით, გასული წლის ზაფხულზე სვანეთში ადგილობრივმა ხალხმა ჩამოაგდო რუსული რევკომი და ძალა-უფლება თვით აიღო ხელში. საოკუპაციო ჯარებმა მაშინვე მიიღო ზომები აჯანყების ჩასაქრობათ, მაგრამ სექტემბერში რუსეთის ორი პოლკი დამარცხდა სვანებთან ბრძოლაში და ამის შემდეგ სვანეთი გადაიქცა თითქმის სრულიად დამოუკიდებელ კუთხედ. ნოემბერში სვანებმა დღეგაცა გაუგზავნეს თფილისში და რევკომს მოთხოვნილებანი წარუდგინეს სვანეთის სახელით. აჯანყებული ხალხი მოითხოვდა რუსეთის ჯარების გაგვანას, ოკუპაციის მოხსნას და ხალხისთვის თავისუფალ არჩევნების უფლების მინიჭებას. ეს ვერ დააკმაყოფილეს დამპყრობლებმა და სვანეთის ხალხი დღესაც განაგრძობს ბრძოლას.

უკანასკნელ თვეებში რუსის წითელმა არმიამ გადასწყვიტა სვანეთის აჯანყების ლიკვიდაცია, რისთვისაც სათანადო მზადებას შეუდგა. წითელმა ჯარებმა, როგორც ქუთაისის მხრიდან, ისე ნალჩიკ-კუბანის მიმართულებით დაიწეს მეტოდიური შეტევა სვანეთის წინაღმდეგ. 3 მარტს ცაგერის მხრიდან შეტევაზე გადავიდა რუსეთის ერთი პოლკი, რომელიც ქვედა სვანეთის მთებში აჯანყებულებმა სრულიად დამარცხეს და გაფანტეს. აქედან სვანებს ტყვეთ ჩაუვარდათ 270 რუსის წითელი არმიელი. შეტევის საპასუხოთ სვანებმა აქტიური მოქმედება დაიწეს, რომელსაც გამოეხმაურნენ ლეჩხუბის და რაჭის მცოვრებლები. ამის შედეგათ აჯანყებულებმა დაიკავეს ცაგერი და მისი მიდამოები და აგრეთვე რაჭისაკენ ონის მიმართულებით სტრატეგიული პუნქტები. პანიკით მოცული წითელი არმიელები იხვედნენ ქუთაისისაკენ.

ამავე დროს სვანებმა დაამარცხეს სამეგრელოს მხრიდან მომქმედი წითელ არმიელები. ამ ამბავმა პანიკა და არეუ-დარევა შეიტანა ოკუპანტებში. თფილისიდან სასწრაფოთ გაიგზავნა კურსანტები სამარშრუტო მატარებლებით. ქუთაისის მიმართულებით წითელი ჯარების უფროსათ დაინიშნა პოლიტიკური კომისარი ლარიჩკინი, ხოლო ჩრდილოეთ-კავკასიის მხრიდან ოკერაციებს ხელმძღვანელობს კავკასიის არმიის უფროსი.

მიუხედავათ ბოლშევიკების ასეთი ზომებისა, სვანები მედგრათ იცავენ თავისუფლებას და მისულ მტერს სასტიკათ ამარცხებენ.

თავისუფალი საქართველო

რეპრესიები. როგორც გვწერენ 11 თებერვლის შემდეგ ბოლშევიკებმა რეპრესიები კიდევ უფრო გააძლიერეს: სოფლებში ეკზეკუციები ჩააყენეს, იქერენ მოწინავე გლეხებსა და მუშებს, დაჭერილების უმეტესობას თფილისში გზავნიან, სოფლები სავსებით დარბეულია და გლეხების საუკეთესო ნაწილი ტყვეშია შეხიზნული. სასწავლებლები გაჩერებულია, 75⁰/₀ მასწავლებლებისა დაჭერილია, პროვინციაში სატუსაღოები აღარ ყოფნით. დაჭერილთა მრავალი ოჯახი მოკლებულია არსებობის ყოველგვარ საშვალეებს.

გურიას ისევ შეუსიეს რუსის ჯარი. ლიხაურისა და შემოქმედის თემები აკლებულია. ჩოხატაურის, ხიდისთავის და ბახვის რაიონებში ეკზეკუციები სასტიკათ მოქმედებენ, მცხოვრებლებს სთხოვენ—იარაღს, მეთაურებს, დევნილებს და ორგანიზაციას. მოქმედებს სამხედრო საველე სასამართლო. ლიხაურში დახვრიტეს 3 კაცი, შემოქმედში 2, ერთი მათგანი ახალგაზნად სტუდენტი გვეგიაჟე. გურიიდან თფილისში ჩამოიყვანეს 100 ტუსალი, ბათუმიდან 60, დაჭერილებს შორის ბევრი ქართველი აფიცრებია. ქუთაისში დაუჭერელი თითქმის აღარავინ დაუტოვებიათ: საერთოთ კი მთელ საქართველოში უკანასკნელათ ბოლშევიკებმა დაუწყეს სდენა პოლიტიკურ პარტიებს გარდა ლონტის ჯგუფისა.

შიშშილი. შიშშილმა საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო, ამას არც ბოლშევიკები და მათი პრესა მაღავს. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო მან შორაპნისა და რაჭის მაზრებში. იყო რამდენიმე შემთხვევა შიშშილობის გამო სიკვდილის. ბოლშევიკებმა ხალხის თვალის ასახვევით დაარსეს «საქარ. დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი.» მაგრამ სინამდვილეში ჯერჯერობით მას არავითარი დახმარება ხალხისათვის არ აღმოუჩენია. მეორეს მხრით იგივე ბოლშევიკები თხოულობენ ხალხისგან რუსეთის დამშეულებსათვის დახმარებას და ძალით კრეფენ ნატურალურ გადასახადს. ხალხი ნებით მათ არაფერს არ აძლევს, რისგამო სოფლებში ჩააყენეს რუსის ჯარი, რომელიც შეუბრალებლათ ძარცვავს ხალხს.

მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა. მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა აუწყრელია, ბაზარზე საქონლის ფასები ზღაპრულათ გაი-

ზარდა, ხალხს თურამე გააჩდა ცველები, ციდა და მიუხედავთ ამისა მოსამსახურეთ ორისამი თვეა ჯამაგირი არ მიუღიათ. და ეს უმთავრესათ იმიტომ, რომ საქართველოს რევკომი რაც ბონებს ბეჭდავს, ცველა რუსის წითელ არმიას მიაქვს, რადგან რუსის ფულის თავისუფალი კურსის გამოცხადების შემდეგ რუსის ჯარის ულტიმატუმი, ქართული ბონების მიცემით დააკმაყოფილეს.

პანიკა ვაჭართა წრეებში. უკანასკნელ დროს ვაჭართა წრეები პანიკამ მოიცო, რადგან მათ მიერ შემოტანილ საქონელს რევკომი რკინის გზის სადგურებშივე უშვება რევკონციას და აძლევს სადასურს, მაგარი ფასების მიხედვით, მაგალითათ კური ფუთი ბაზარზე ღირს 120000 მან. მაგარი ფასით კი—150 ათასი მან. მაგრამ ვაჭრები თავის დროზე ვერც ამ უკანასკნელს ღებულობენ.

ყაჩაღობა. მთელ საქართველოში ძარცვა-გლეჯამ და თავდასხმებმა მასიური ხასიათი მიიღო. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გვატკობინებენ—უმთავრესათ მათ აწყობს პროვოკაციული მიზნით ჩეკა და მილიცია. მაგალითათ ნ მარტს ყვირილა-სვირის შუა ცაჩაღები თავს დაესხნენ მატარებელს «ექსპრესს», გაძარცვეს მგზავრები, აცარეს იარაღი რკინის გზის მილიციას და მოკლეს რამდენიმე კაცი. ყაჩაღებიდან მოკლული აღმოჩნდა მხოლოდ ორი კაცი. ამის გამო ააწიოკეს ახლო მახლო სოფლები, ხოლო ბოლოს გამოირკვა, რომ თავდასხმა მოაწყობით ყვირილის ჩეკამ. მეორე მაგალითი: ბათუმის ჩეკიდან გზწარბ გაიქცა ჩეკისტი, რომელმაც ლიხაურში მოკლა რუსის ჯარის კაცი, რასაც მოცვა ამ სოფლიოს დარბევა-აწიოკება. უკანასკნელათ გურიის ჩეკამ სამსახურში მიიღო ცნობილი ყაჩაღები, გემის და მატარებელის გამძარცველნი ლონტის, მძულაიშვილი და სხვები. და აი, ეს ხალხი აწყობს უმთავრესათ თავდასხმებს, რის შემდეგ «საბჭოთა და გლეხთა მთავრობა» აწიოკებს სოფლებსა და დაბებს.

რუსის წითელი არმიაში. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გვატკობინებენ, უკანასკნელ ხანებში რუსის წითელ არმიაში უკმაყოფილება დღითიდღე მატულობს. 1, 2, 3 და 4 მარტს თფილისში «აბუნტდა» რუსეთიდან ახლად ჩამოსული ნავთლუხში მდგომი ბუდიო-

F 1294K
1922
საქართველოს
საბჭოთაო
საქართველო

ნის კავალერიის ნაწილი, ამის გამო დაიჭირეს 300 მეტი მხედარი, მათგან რემდენიმე უკვე დახვრიტეს. აჯანყების მიზეზი პოლიტიკურია, მაგრამ კომუნისტები ცდილობენ იგი შიმშილობას მიაწერონ. ასეთივე ამბები მოდის ბაქოდან და დანარჩენ მხარეებიდანაც.

საქ. გაძარცვა გრძელდება. ბოლშევიკებმა საქართველოს გაძარცვას უკანასკნელათ სისტემატიური ხასიათი მისცეს. მიაქვთ სამეურნეო ნაწილები, იარაღები, სკლიან საწობებს, არსენალს და სხვას. გაზიდვას ხელმძღვანელობს წითელი არმიის ოკა. ბოლშევიკები ცდილობენ გოველივე ეს მოხდეს იე, რომ არავითარი ნიშნები არ დარჩეს რკინის გზის სადგურებში და სხვაგან.

ქლიაქი ქარიშხალი. 9, 10, 11 თებერვალს სამტრედიის რაიონში მძვინვარებდა საშინელი ქარიშხალი, რომელმაც აუარებელი ზარალი მიაყენა მცხოვრებლებს: წააქცია და დაამტვრია რამდენიმე სახლი და ძირიან-ფესვიანათ მოსთხარა ხეები. იცო ავრეტლე აღამიანებისა და პირუტყვების მსხვერპლიც.

ამზ. ს. ჯაბლადის საფლავზე. როგორც საქართველოდან გვწერენ, ამხ. სილიას საფლავს ისევ დარაჯობენ ჩეკისტები.

საქ. სოც.-რევოლუციონერთა პარტიაში. ჩვენმა რედაქციამ მიიღო საქ. სოც.-რევ. პარტიის ყრილობის მიერ გამოტანილი შემდეგი რეზოლიუცია:

თანახმით საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მესამე ყრილობის დადგენილებისა გეგნავენებათ ა. წ. 20 მარტის სხდომაზე მიღებულ რეზოლიუციის ასლი:

«საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მესამე ყრილობამ, გაცნო რა ლეო ანდრეას ძე შენგელაიას და ივანე პავლეს ძე გობეჩიას მოქმედებას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ (საქ. სოც.-რევოლ. პარტიის მესამე ყრილობამ) გამოარკვია შემდეგი:

1. ლეო ანდრეას ძე შენგელაია და ივანე პავლეს ძე გობეჩია დგანან საბჭოთა სისტემის ნიადაგზე, დალატობენ პარტიის პრინციპებს, ტრადიციას და ეთიკას, განავრცობენ ანტი-პარტიული დეზორგანიზატორულ და ანტი-ეროვნულ მოქმედებას.

2. ამიტომ გამორიტულ იქმნან საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტი-

იდან ლეო ან. შენგელაია და ივანე პ. გობეჩია.

3. დადგენილება ესე ეცნობოს ცენტრალურ კომიტეტებს საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტიისას, დამოუკიდებელ სოც.-დემ. მუშათა პარტიისას და ეროვნულ დემოკრატიისას.

4. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი მიღებისა ყრილობის მიერ.

ყრილობის თავმჯდომარე
მდივანი

ამხ. გიგუცა მურალოვი

იანვრის პირველ რიცხვებში გორის საპრობილეში სიცოცხლეს გამოცხადმა ამხ. გიგუცა მურალოვი, რომელსაც გორში იცნობდენ «წი»-ს სახელით, იგი ძველი ღუშაქი იცო, ძველი სოციალ-დემოკრატი—რევოლუციონერი. თვითმცრობლობასთან ბრძოლაში მას არა ერთხელ უგემშია დევნა, ციხე და სხვა. მაგრამ არასოდეს არ უღალატია თავის რწმენისათვის; მუდამ მუშაობდა, მუდამ იბრძოდა... აღსანიშნავია, რომ განსვენებული პირველ ხანებში ბოლშევიკებს თანაუგრძობდა. მაგრამ, როდესაც ბოლშევიკებმა მახინჯი სახე მიიღო და აშკარათ უღალატა მუშათა ინტერესებს, გიგუცა, როგორც დხიწელი მუშა, ჩამოშორდა მას. იგი მჭურვალე მონაწილეობას იღებდა გორის მახრაში ბოლშევიკების მიერ მოწყობილ ოსების აჯანყების ჩაქრობაში; მუდამ იცო ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ხელმძღვანელ ორგანიზაციის წევრი და ამასთანავე საუკეთესო გვარდიელი. როდესაც რუსეთის ჯარებმა საქართველოს ოკუპაცია უცვს და ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს გააჩაღებულმა—ნაძირალა ბოლშევიკებმა, გიგუცა, რა თქმა უნდა, ვერ შეურიდდა ამას და ერთი პირველთაგანი იცო, რომელმაც ბრძოლა გამოუტყადა მოძალადეებს.. ამისათვის მას ციხე არგუნეს. აუტანელი, ჯოჯოხეთური პირობები, რომელიც გამეფებულია საბჭოთა სატუსალოებში ვერ აიტანა მან და, ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, სიცოცხლით სავსემ, ციხის საკანში განუტყვევა სული.

მოკვდა იგი, მაგრამ ბრძოლაში დაღუპულთ ხალხი არ დაივიწყებს...

მწვინობით ჩვენო კარგო «წი»-ე. შენი ხსოვნა სამარადისოთ დარჩება ჩვენს გულში...

გურული ამხანავი.